

# მწყმმსი



მე ვარ მწყმსი კვილი: მწყმსმან კვილიმან სული თვისი დაქსდვის ცხოვართთვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

პოვედით ჩემდა ყოველნი მასურაღნი და ტვირთ-მპიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 15 ღ 16

1883-1891

20 აგვისტო.

შინააღსანი: ნუ უშლით მართლ-მადიდებელ ხალხს კვირა-დღესასწაული დღეების წმიდათ დაცვას და პატივისცემას. — მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა. — წერილი რედაქტორთან. — ბიბლიოგრაფიული შენიშვნა. — წერილი ათონიდან. — მოსუფი მამა (ლექსი). — ახალი ამბები და შენიშვნები. — გუჯრები. — საეკლესიო კითხვების განმარტება. — განცხადებანი.

ნუ უშლით მართლ-მადიდებელ ხალხს კვირა-დღესასწაული დღეების წმიდათ დაცვას და პატივისცემას.

დღესასწაულთა. შარყოფა ეკლესიის დღესასწაულთა, მათი გადაგდება, ანუ მათი დიდი მნიშვნელობის დამცირება ხალხის თვალში — უსათუოდ შეარყევენ ხალხის პატივისცემას ეკლესიის ამ დიდ შემთხვევათადმი, რომელთა სახსოვრად დაარსებულან ეს დღესასწაულნი. მინც საჭიროდ არ რაცხს, მაგალითებრ, კერა დღის წმიდად შენახვას — ის ნუ იტყვის, რომ იგი ღრმად იყოს გამსჭვალული მრისტეს აღდგომის და დაცემული კაცობრიობის მისგან გამაზნის მნიშვნელობით. მართლაც, თუ კვირა-უქმე დღესაც აღარ გვაქვს დრო ღვთის სამახუროსათვის, მაშ როდისღა ეიმოვოთ თავისუფალი დრო ეფექ-

დრი შესანიშნავი შემთხვევები მრისტეს ეკლესიის ცხოვრებაში უმტეს ნაწილად არიან საუფძველნი სხვა-და-სხვა დღესასწაულთა დაწესებისა, რომელთაც წმიდად და შეურყვევლად ინახვენ სხვა-და-სხვა მრისტიანე ერნი. როგორც ამ შემთხვევათა დაიწყება არ შეიძლება, ისე ამ ერთათვის არ შეიძლება გადაგდება ამ შემთხვევათაგან გამოწვეულ

როს ღმერთზე, ვიკითხოთ საღმრთო წერილი და აღვა-  
სრულოთ ლეთის სასიამოვნო საქმენი? საქმის დღეებში  
ხომ სულ აღარ გვეცლება ამისთანა საქმეებისათვის!  
მაგრამ ამაზე ბევრის ლაპარაკი საჭიროდ აღარ მიგ-  
ვაჩნია, რადგან ჩვენც ბევრი გვითქვამს და გვიწერია  
ამ საგანზე და საზოგადოდ ბეჭდვითი სიტყვაშიაც ეს  
საგანი ყოველი მხრით განხილულია და ამტკიცე-  
ბული.

ჩვენ აქ გინდა ორიოდ სიტყვა ესთქვათ ზო-  
გიერთი პირების შემცდარი აზრის წინააღმდეგ, რომ-  
მელნიც ამტკიცებენ, რომ ვითომ არ შეიძლება  
ხალხს მოესთხოვოთ დღესასწაული დღეების მტკიცედ  
დაცვა, რადგან ეს დღესასწაულები მათ ბევრ თავი-  
სუფალ დროს ართმევენ. ცხოვრება თან-და-თან უფ-  
რო დნელდება, ამბობენ ისინი, მოთხოვნილება ორ-  
კეცდება, ამიტომაც შრომისათვის საჭიროა უფრო  
მომეტებული დრო; სადღა რჩება დრო, რომ კაცმა  
შეისვენოს. მოსვენება აღარც კი ახსოვს საწყალს  
ხალხს. მაგალითისათვის ავიღოთ ვაჭარები. ბანა აღ-  
ვილი საქმეა მოვსთხოვოთ ვაჭარს, რომ მან დღე-  
სასწაულ დღეებში დაჰკეტოს ღუქანი და ხელმოჭ-  
ლობილი დაჯდეს თავის საქონლის წინ? იგი იხდის  
ფულს პატენტისათვის, ღუქნის ქირას და საქონელს  
იღებს ნისიად და ყოველ დღეს ცდილობს იგი, რომ  
ყველა ესეები გადიხადოს: დღესასწაული დღეები მას  
არ ერიცხება არც პატენტის და არც ღუქნის ქირი-  
საგანს. ხალხს რომ მოესთხოვოთ დღესასწაულების  
მტკიცედ დაცვა, ეს დასცემს მეურნეობას, ხალხს სი-  
ზარმაცეს მაჩვენებს და ჩვენი ხალხი, რომელიც უმი-  
სოდაც ზარმაცია, სულ გაზარმაცდება. ძიდევ ბევრ  
რამეს ბრძანებენ ჩვენი დღესასწაულების წინააღმდეგნი  
პირნი, რომელნიც ერთის შეხედვით ვითომ იღვწიან  
ხალხის დღეკეთილობისათვის და საზოგადოდ ადგიან  
სიმართლეს. მათი მოსაზრება, ერთი შეხედვით, კაცს  
მართალი და საფუძელიანი ეგონება. მაგრამ ენახოთ,  
თუ რამოდენად იღვწიან ისინი ხალხის დღეკეთილო-  
ბისათვის და რამოდენად ადგიან სიმართლეს.

ნამდვილია, რომ ეხლანდელი ცხოვრება ითხოვს  
ძლიერ შრომას, წინააღმდეგ შემთხვევაში კაცს მოე-  
ლის სიღარიბე და სიღატაკე. ჩვენც თანახმანი ვართ,  
რომ ჩვენი ხალხი ზარმაცია და ამიტომ საჭირო არ  
არის უფრო ბევრი თავისუფალი დრო მიესცეთ მას.  
მაგრამ დღესასწაულების წინააღმდეგნი პირნი ცდებ-  
ნიან, როცა ჰფიქრობენ, რომ ჩვენი ხალხი გამდი-

დრდება და მათში წინ წაიწეეს მეურნეობა დღესას-  
წაული დღეების დარღვევით. უკეთესი იქნება ურჩი-  
ოთ ჩვენს ხალხს, რომ მან იშრომოს ყოველ საქმე  
დღეს. თუ შრომისათვის დანიშნულ დღეებში ჩვენი  
ხალხი მუყაათად მოეცილება საქმეს, მაშინ, დარწ-  
მუნდით, საჭირო არ იქნება დღესასწაულ დღეებში  
შრომა და არც უნდა იმის შიში გვექონდეს, რომ  
კვირა-უქმ დღეებში უმეურნეობამ ჩვენი ხალხი გა-  
აღარიბოს და სიგლახაკეში ჩააგდოს. მინც ერთგუ-  
ლად შრომობს კვირიდამ მეორე კვირამდის, ანუ  
ერთი დღესასწაულიდამ მეორე დღესასწაულამდის,  
მისთვის საჭირო არ არის დღესასწაულ დღეებში მუ-  
შაობა და შრომა. წინააღმდეგ ამისთანა მშრომელი  
კაცისათვის კვირა და საზოგადოდ დღესასწაული  
დღეები შეადგენენ განსაკუთრებულ დროს, როცა  
მშრომელი კაცი მოსვენებას ეძლევა, რომ შემდეგ  
უფრო გულით და ხალისით მოჰკიდოს ხელი საქმეს.  
ნისთ შრომას, რომლის შემდეგ კაცმა მოსვენება  
არ იცის, სარგებლობის მაგიერ ვნება მოაქვს და  
კაცი მუდამ სისუსტესა გრძობს. მინც არ უშლის  
ხალხს კვირა-უქმ დღეებში მუშაობას, ის ამით ამ-  
ტკიცებს, რომ ხალხმა როგორც რაგია ისე ვერ  
იმუშავა საქმის დღეებში და დაკარგული დრო უნდა  
შეავსოს უქმ დღეებით. წმ. ეკლესიაჲ, როგორც  
ზემოთაც მოვიხსენეთ, დაადგინა დღესასწაულები  
ზოგიერთ დიდ შემთხვევათა და პართა მახსენებ-  
ლად, და ესეც რომ არ ყოფილიყო, ხალხი თვითონ  
დაადგენდა დღესასწაულებს, ე. ი. დღეებს მოსახე-  
ნებლად იმ მოსაზრებით, რომ მუდამ შრომა შეუძ-  
ლებელია და კაცისათვის დრო და დრო საჭიროა  
მოსვენება და მის სულიერ მოთხოვნილებათ დაკმა-  
ყოფილება. მა რა შეადგენს ძრისტიანე კაცის სუ-  
ლიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას? შიქრი  
ღმერთზე, კითხვა საღმრთო წერილისა, ლეთის მსა-  
ხურების მოსმენა, საუბრები სარწმუნოებრივ საგნებ-  
ზე და, შეძლებისამებრ, ლეთის სასიამოვნო საქმეების  
კეთება. ცხოვრების ასეთ წესს მოითხოვს კაცის ორ-  
გვარი ბუნება — ხორციელი და სულიერი. იმ კაცს,  
რომელიც მუდამ იმას ჰფიქრობს, რომ, რაც შეიძ-  
ლება, ბევრი იშრომოს და მოიხვეჭოს ქვეყნიური  
სიმდიდრე, თან-და-თან ხასიათი უფუჭდება და ქსუე-  
დება, ამისთანა კაცი იგიწყებს ჭეშმარიტებას და ყო-  
ველივე კეთილს და ბოლოს უნდა ცხოველს ემს-  
გავსება, ხოლო როცა კაცი შრომის დროს არ

იფიწყებს თავის სულს და ამ სულის მოთხოვნილობის დაკმაყოფილებასაც, მაშინ იგი უფრო კეთილშობილდება და ნამდვილად ასრულებს თავის მოვალეობას. წმ. ეკკლესია ცდილობს, რომ კაცმა ერთგვარად ასაზრდოვოს სულიც და სხეულიც და ამ მიზნისათვის არიან დადგენილნი დღესასწაულები. ამიტომაც დღესასწაული დღეები ხელს კი არ უშლის კაცთა კეთილ-დღეობას, პირიქით ხელსუწყობს. მაგრამ ეს მოსალოდნელია მაშინ, როცა კაცი საქმის დღეებში საკმაოდ შრომობს, ხოლო კვირა-უქმე დღეებში ისვენებს და ზრუნავს სულისათვის. ჩვენი აზრის დასამტკიცებლად საკმაოა ხელი მიუთითოთ მკითხველს ინგლისზე და ამერიკაზე. ამ ქვეყნებში მეურნეობა და ხალხის სიმდიდრე სასურველს წერტილზე არის მიღწეული, თუმცა დღესასწაული დღეები ისე წმიდად არსად არ არიან დასტურნი, როგორც ამ ქვეყნებში. ინგლისის ყველა ქალაქებში, გარდა ლონდონისა, კვირა დღეს დაკეტილი არიან თეატრები, ყოველ ნაირი ღუქნები და მაღაზიები; ხოლმადები და ორთქლითმავალი ან სულ არ დაიარებიან და თუ მოგზაურობენ, არა ისე ხშირად, როგორც საქმე დღეებში. თუ ჩვენში კვირა-დღესასწაულების წმიდად შენახვა გალარობებს და გააზარმაცებს ჩვენს ხალხს, რატომ ამ ქვეყანაში არ ღარიბდება და არ ზარმაცდება ხალხი, როცა იქ ასე წმიდად ინახვენ კვირა-უქმ დღეებს?

მანა ასე ეკიდებოდნენ ჩვენი წინაპარნი ამ დღესასწაულებს და განა ასე სამძიმოდ მიანდათ მათ ეს დღეები? ამ რამდენიმე წლის წინად ჩვენი ხალხი დიდის მოწიწებით ეპყრობოდა დღესასწაულებს და ძალიან წმიდათაც ინახავდა მათ. კვირა-დღესასწაულების დამარღვევლნი სასტიკად ისჯებოდნენ თვითონ ხალხისაგან. დღესასწაულ დღეებში ფიქრადაც არავის მოუფიქროდა რაიმე საქმის გაკეთება, გარდა სარწმუნოებრივ-ზნობრივი საქმეებისა. ამ დროს ჩვენი ხალხი ისე წმიდად ინახავდა კვირა-უქმ დღეებს, როგორც დღეს ინახვენ ამ დღეებს ინგლისელები და ამერიკელები, მაგრამ მაშინ არავინ არ ჩიოდა, რომ დღესასწაული დღეები ღარიბებენ და აზარმაცებენ ხალხსაო. ხალხი მაშინ უფრო შრომის მოყვარე იყო და მარტო საქმის დღეებში მუშაობით ირჩენდა თავს და საქირად არ რაცხდა დღესასწაული დღეების უარყოფას. მაგრამ როცა დრო შეიცვალა და ახალი წესები შემოიღეს, ხალხის ზოგიერთი ჩვე-

ულებანიც შეიცვალა. ღღეს ხალხი ზედავს, რომ ის პირნი, რომელთაც ხელთ უპყრიათ მათი გამგეობა, სულ სხვა შეხედულებისა და რწმუნებისა არიან და ითხოვენ, რომ მათი ბრძანება შეასრულოს ხალხმა. სხვათა შორის, ამ პირთ დღესასწაულ დღეებში მუშაობა საწინააღმდეგოდ არ მიანდათ, თუმცა ხალხს კი არ მოსწონდა ესეთი განკარგულება. ხშირი შემთხვევა იყო, რომ ადმინისტრაციის ზოგიერთი ხელქვეითი ხალხს საშუაოდ იწვევდნენ კვირა-უქმ დღეებში. პირველად ამ გარემოებამ ძალიან შეაწუხა ხალხი, რომელიც ძველიდგანვე წმიდად ინახავდა კვირა-უქმ დღეებს და კრძალვით ეკიდებოდა მათ. ზოგან ხალხმა წინააღმდეგობაც გაუწია ადგილობრივ მთავრობას დღესასწაულ დღეებში მუშაობაზე, მაგრამ, როცა ხალხის კანონიერი თხოვნა კვირა-უქმ დღეების წმიდად დაცვის შესახებ არ იქმნა შეწყინარებული, მაშინ ხალხიც ძალაუბრებურად მიიჩნია დღესასწაულ დღეებში მუშაობას. ღღეს ხალხს იქამდის გაუგრილდა გული დღესასწაულ დღეების მნიშვნელობაზე, რომ ზოგან თვითონ მთავრობა უკრძალავს მათ ამ დღეებში მუშაობას. თვითონ ადმინისტრაცია ცდილობს ეხლა გამონახოს რაიმე საშუალება, რომ ქალაქებში და სოფლებში დღესასწაულებში ხალხმა არ იმუშაოს. სხვათა შორის, მთავრობამ აღკრძალა დღესასწაულ დღეებში სოფლის საზოგადოებათა შეკრება ღვთის-მსახურების გათავებამდის ტაძრებში. ქალაქებშიაც აღკრძალულია ღუქნების გაღება და ეპყრობა ნაშუადღემდის, ე. ი. ტაძრებში წირვის გათავებამდის. მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ საშუალებით ძნელიდაა მოგსპოთ ხალხში დღესასწაულ დღეებში მუშაობა და აღვადგინოთ მისი სულში და გონებაში ის გრძნობა, რა გრძნობითაც იგი ეკიდებოდა კვირა-დღესასწაულ დღეებს და წმიდად ინახავდა მათ. ბლევმა თუ გაიგო, რომ სოფლის სასამართლოში დანიშნულია კრება კვირას, იგი დილითვე გასწევს კანცელარიაში და ფიქრადაც არ მოსდრს ჯერ ტაძარში წასვლა სალოცავად და მერე კრებაზე გამგზავრება და კიდევ რომ წავიდეს ტაძარში, ის უფრო ჭფიქრობს კრებისაგან განსახილველ საგნებზე, ვიდრე ღმერთზე და ღვთის სასიამოვნო საქმეებზე. ქალაქებშიაც ასეთივე შედეგი აქვს შუადღემდის ღუქნების დაკეჭას. ძალიან ძნელი მოსახერხებელია, რომ ყველამ დაჰკეტოს ღუქნები. შესახედავად, მართალია, ჰკეტენ, მაგრამ უმეტესად

დუქნის კარები ნახევრობით გაღებული აქვს და ჩუმად ვაჭრობენ. ასეთი ნამალევი ვაჭრობა ხშირად ახდენს შეტაკებას ვაჭართა და პოლიციის მოხელეთ შორის. ზოგიერთნი, მართალია, ჰყეტენ დუქნებს, მაგრამ ტაძარში კი არ მიდიან, არამედ დაღვრემილნი სხედან თავიანთი დუქნების წინ და მოუთმენლად ელიან წირვის გათავებას, რომ შემდეგ დუქნები გააღონ და ვაჭრობა იწყონ. მანა ასე უნდა ვაჭარებდეთ კვირა-უქმ დღეებს? თუ ელდესასწაულობთ, მთელი დღე ვიდესასწაულოთ, ვაფიქროთ ღმერთზე და მოვიქმედოთ ღვთის სასიამოვნო საქმეები. თორემ რაღაცა ვაჭრობა გამოდის, თითქო ვამადლოთ ეკლესიას, რომ ცოტა ხანს მაინც უკრძალავთ ხალხს კვირა დღეებში მუშაობას. დროა დაუფიქრდეთ ჩვენს მოქმედებას!

ღვთის მადლით, დღეს თვითონ ხალხმა შეიგნო, რომ ასე გულგრილად ვეკიდებით დღესასწაულ დღეებს და თვითონვე სცდილობს ჯეროვანის პატივისცემით დაიცვას ეს დღეები.

რამდენი ეცადა ქ. თბილისის საზოგადოება, რომ კვირა-დღესასწაულ დღეებში დუქნები დაეკეტათ და ვაჭრობა შეეჩერებიათ. ეს იყო ხალხის სურვილი და ამ სურვილის წინააღმდეგ ვერა გაარიგა რა ზოგიერთი პირების მკვერ-მეტყველოურმა სიტყვებმა. სწორედ ქება-მადლობის ღირსია თბილისის თბილისელებს ამ საქმეში მუთათისმაც წაბაძა. მთელმა მუთათისის საზოგადოებამ, ვაჭრებმა — ერთი სიტყვით ქალაქის მთელმა მკვიდრმა შეიტანა თხოვნა, ვისთანაც ჯერ იყო, რომ კვირა-დღესასწაულ დღეებში აღეკრძალათ ვაჭრობა მთელი დღე განუჩევილად ხალხოსნობისა და სარწმუნოებისა. ხალხის ასეთი თხოვნა კიდევ სასურველად დაგვირგინდებოდა, რომ ამ საქმისათვის ხელი არ შეეშალა სხვა სარწმუნოების აღმსარებელთ, რომელნიც იქამდის გათავამებულნი არიან ჩვენი ქალაქის ზოგიერთ უთაურ მართლ-მადიდებელ მკვიდრთაგან, რომ ეს სხვა სარწმუნოების აღმსარებელნი მონაწილეობას იღებენ მართლ-მადიდებელი სარწმუნოების კითხვების განხილვის დროს და ხშირად თავის სურვილისა მებრ ათავებენ კიდევ ამ კითხვებს. მანა სამწუხარო არ არის, როდესაც რომელიმე ებრაელზე ანუ პროტესტანტზე არის დამოკიდებული ჩვენი მართლ-მადიდებელი დღესასწაულების წმიდად დაცვის კითხვის ასე თუ ისე გადაწყვეტა ქ. მუთათისში?

რას დაეძებენ. ჩვენს მართლ-მადიდებელ დღესასწაულებს ურიები და სხვა სარწმუნოების აღმსარებელნი, მათთვის სასარგებლოც იქნება ამ დღესასწაულების სრულად მოსაზრება! სწორედ სასიარულ და სათავილოა ჩვენი ასეთი მოქმედება! მაგრამ რას იზამ კაცი, რომ თვითონ ჩვენ იმდენად გამსჭვალულნი ვართ სარწმუნოებრივი გულგრილობით, სიმდიდრის მოხვეჭით, რომ ყოველ შემთხვევაში მზად ვართ კაპაქისათვის დაეიცვათ ებრაულთა ინტერესები, ვინემ ჩვენი საკუთარი!

რაცა ჩვენ დღესასწაულ დღეების წმიდად დაცვაზე ვლაპარაკობთ, სახეში გვაქვს ის დღესასწაულები, რომელნიც დადგენილნი არიან წმ. ეკლესიისაგან და არა ზოგიერთი დღესასწაული, რომელნიც წარმომდგარან ხალხის სხვა-და-სხვა ცრუმორწმუნეობისაგან და რომელნიც მართლა ნიეთაერად და ზნეობითად დიდს ზარალს აქლევენ ჩვენს ხალხს. მა უბრალო დღესასწაული დღეები ნამდვილ დღესასწაულ დღეებთან ერთად მართლა დიდ დროს უკარგვენ ხალხს და ამან, შეიძლება, მართლაც, ცუდად იმოქმედოს ხალხის კეთილდღეობაზე, მაგრამ ჩვენ სრული წინააღმდეგნი ვართ ამ უბრალო დღესასწაულებისა, რაც შეეზები წმ. ეკლესიისაგან დადგენილ დღესასწაულებს, მათ შესახებ იმას ვატყვი, რომ, თუ ყველა მათი წმიდად დაცვა საქნელოა, მაშინ საჭარო აღუქრათ კითხვა, რომ ამ დღესასწაულების რიკხვი შემცირდეს და დაესტავოთ უფრო დიდი დღესასწაულები და მარტო ესეებუ შექნახოთ წმიდათ, ვინემ ყველა დღესასწაულები დაესტავოთ და ისე უკულოთ ვიდღესასწაულოთ ისინი, როგორც ამას დღეს ჩავდივართ.

მაგრამ ხალხი ელის და იმედოცა აქვს, რომ უმადლესი მთავრობა ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს ამ საქარო საქმეს და ბოლოს მაუღებს ამ არა სანატრელ მდგომარეობას და ეცდება ხალხში აღადგინოს ის გრძობა და პატრიისცემა დღესასწაულები-სადმი, როგორი გრძობით და პატრიის-ცემითაც ვიოდებოდა ხალხი უწინდელს დროში კვირა-უქმ დღეებს. ასეთი მოქმედებით ჩვენი ხალხი თავს დაახწევს ეხლანდელი დროის დამღუბველს სარწმუნოებრივი გულგრილობას და მტყიცედ დაადგება ქრისტეს ქმმარაიტ სარწმუნოებას.



მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა.

მრთ გაზეთში ეკითხულობთ: «ჩვენ მივიღეთ პატივცემული მღ. № №-საგან ოცი მანეთი, შეკრებილი მისი მოთავეობით ღ. ბაქრაძის და იოსებ ღავითაშვილის საფლავზე ძეგლის დასადგმელად. ჩვენ გვთხოვენ, რომ შემწირველების სია გამოვაცხადოთ და კიდევ ვბეჯდათ აქვე და სხვ.»

ჭეშმარიტად საქები და სანატრელი მოვლენაა ერთის მხრით ეს ფაქტი და საზოგადოებრივი ფარისევლობა და მეტიჩრობა მეორეს მხრით. ნეტავი იმ ხალხს, სადაც შეუგნიათ პატივისცემა საზოგადო მოღვაწე პირთა და ამ პატივისცემას არ იფიწყებენ მათი სიკვდილის შემდეგაც, გულით და სულით ცდილობენ, რომ მათი სახელი დაუვიწყარი დარჩეს შემდეგ თაობას და ამისათვის არ იშურებენ თავისი ღირსი ჯიბისაგან თითო-ორ-ორ მანეთს მათს საფლავზედ ძეგლის დასადგმელად. ღიახ, სწორეთ სასიამოვნო მოვლენაა ამ ჩვენს დაძაბუნებულს და დაქვეითებულს დროში ამისთანა ერთგულება, ერთ სულაობა და ერის პატივისცემა საზოგადო მოღვაწე პირთადმი. მაგრამ მეორეს მხრით რომ შევხედავთ საქმეს, სულ სხვა სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს იგი, სულ სხვა უნუგეშობას გვიჩაბავს. ბუღს გიღონებს ფარისევლობა, მეტიჩრობა, თავის ქება და უგნური წამხედურობა. ძლიერ დაამყავა ეხლანდელი დროის ხალხის ცხოვრება ფარისევლურმა სიმყავემ, სახით ჩვენება და საქმით უკუდგომა, სიტყვით თქმა ერთის და საქმით სულ სხვის მოქმედება, თავის ქება, უსუსური წამბაძელობა და მეტიჩრობა, აი რით შეუძლია იქოს თავი ეხლანდელმა დრომ. ჰველაზე მეტად მწარე საფიქრებელია ჩვენთვის ეხლანდელი დროის გასაოცარი და საარაკო აზრების არე-დარევა ზოგიერთა პირთა, საქმის მსჯელობა და შეხედულება!... ცხრამეტმა საუკუნემ განელო, მაგრამ მრისტეს დროის ფარისევლების მიმდევარნი კიდევ მრავალნი არიან, მრავალნი თანაუგრძობენ მათ აზრს, მათ მსჯელობას, მათ საქციელს.

რამდენი ყოფილან ჩვენში იმისთანა რჩეულნი მწერალნი და მოღვაწენი, რომელთა ხამლთა გახდის ღირსად არ უცნიათ თავი ღავითაშვილს და რამდენი არიან საქართველოსთვის თავდადებულნი პირნი, რომელთა საფლავი სრულებით მივიწყებულია დღეს.

ჭეშმარიტად მართებულია, რომ ძეგლი დაუდგათ ნეტარ ხსენებულს ღ. ზ. ბაქრაძეს, რადგან მან აგვისნა და განგვიმარტა ზოგიერთი წარწერილობანი ეკლესიის კედლებისა და ხატებისა, მაგრამ ნუ თუ მეტად პატივსაცემნი არ არიან ის პირნი, რომელთაც ააშენეს ეს ტაძრები და ვინც დააწერა ქვებზე და ხატებზედ ეს წარწერილობანი?... პატივისცემის ღირსია ჭეშმარიტად განსვენებული ღ. ზ. ბაქრაძე, რომ გაგვაცნო მეფე ღავით აღმაშენებელი, რომელმანც თათრებისაგან დამგვრეული, დაქცეული და აოხრებული საქართველო აღაშენა და თათრების ბრძკვლებისაგან დაიხსნა ჩვენი ქვეყანა საუკუნოდ.

რა იქნებოდა დღეს საქართველო, რომ ღავით აღმაშენებელს არ გამოეხსნა იგი თათრების მონობისაგან? იქნებოდა ხსენება თვითონ ღ. ბაქრაძის და ღავითაშვილის, რომ ღავით აღმაშენებელს არ დაეფარა ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი ხალხოსნობა და ჩვენი ქვეყანა საშიშარი მტრის თათრებისაგან?... ჩვენ ვცდილობთ, რომ ღ. ზ. ბაქრაძის და ღავითაშვილის საფლავზედ რიგიანი ძეგლი დაესდგათ და ამავე დროს სრულებით არ ეფიქრობთ, რომ მცირე ძეგლი დაუდგათ თათრებისაგან ჩვენს მხსნელს, ჩვენს ღმაშენებელს და დამამკვიდრებელს ღავითს!...

ღიახ, სწორეთ სამწუხარო მოვლენაა. უცხო პირები, მნახველნი ღავით აღმაშენებელის სასაფლაოისა, გაკვირვებით იტყვიან ხოლმე: «ჰაი, ჰაი, ბრალი არ არის, რომ ის ხალხი, რომელიც შენ გამოიხსენი თათრების მონობისაგან, აღაშენე, დაუტყვი სარწმუნოება და ენა, ამის მეტს პატივს არ გცემდეს! ნუ თუ აღარავის ახსოვხარ შენ და არ იციან შენნი მოქმედებანი, რომ შენი საფლავი შეამკონ რიგიანი ძეგლით?» ღიახ, ჭეშმარიტად საგულისხმო სიტყვებს ამბობენ ყველა ეს უცხო პირნი... იქნება სთქვას ვინმემ, რომ ამაზედ კითხვა არ აღუძრავთო. ძითხვაც აღძრეს, კიდევ გამოაცხადეს, მაგრამ ძლიერ მცირემ მიაქცია ყურადღება! უფრო ნამეტანი ფული შეგროვდა ღავითაშვილის ძეგლის ასაგებად! სხვას თავი დაეანებოთ, ჩვენმა მოძმეებმაც უფრო მეტი მსურველე მონაწილეობა მიიღეს ღავითაშვილის სასაფლაოზედ ძეგლის ასაგებად ფულის შეკრებაში, ვინემ ღავით აღმაშენებელის სასაფლაოზედ ძეგლის დასადგმელ ფულების შეწირვაში. უნებლიეთ გვაგონდება ერთი ახირებული სნეულება, რომელსაც უწოდებენ წმიდა ვიტის თამაშობას. ახირებული სენი არის ეს ანათმყოფობა. ეს ახირებული სენი ვისაც

დამართება, ის იწყებს ერთ ნაირ ხტომას, გეგონებათ, ძლიერ მონდომით თამაშობსო. რამდენიც გინდათ, დაუშალეთ, ის მაინც თავისთვის ხტის და ხტის. ძლიერ საშიშარია ეს სნეულება ტანმრთელეზისათვისაც. ტანმრთელმა კაცმა თუ თვალი მოაელო ამისთანა სნეულის ხტომას, მასაც გარდაედება ეს სნეულება და ისიც მოჰყვება ერთ უცნაურ ხტომას. ეხლა ამას შეხედავს სხვა ვინმე და ისიც დაიწყებს ხტომას და თამაშს. ბოლოს ხედავთ, რომ ამ სნეულთან ერთად ხტიან სხვა ტანმრთელებიც. ოქვენს პასუხზედ ერთი ვერ მოგიგებს, თუ რა დამართათ მათ და რატომ ხტიან...

შეშმარიტად ეხლანდელ დროში ერთობ გავრცელებულია წამხედურობა და ყველაზედ მეტად ის არის სამწუხარო, რომ წამხედურობას სიგლახეში უფრო იჩენენ ზოგიერთები, თორემ სიკარგეში რომ გამოიჩინონ, ეს ხომ სასინარულო იქნება...

\* \* \*

აკერ წინაზედ ეჯღივართ ძმათა შილაძეების წიგნის მალაზიაში. შემოდის ერთი სოფლის გლეხი კაცი და ჰკითხავს წიგნის მალაზიის პატრონს:

- შილაძეების წიგნის მალაზია ეს არის?
- ღიახ, მიუგებს პატრონი.
- მითი კაცი გარდაგვეცვალა სოფელში და მინდა გაზეთში გამოცხადდეს მისი გარდაცვალება.

— მანცხადების დაბეჭდვა ორგზის ეღირება მანეთ-ნახევარი, მითხარით მისი სახელი და გვარი, და ისიც, როდის დასაფლავებენ, ეკითხება მალაზიის პატრონი.

— სახელი და გვარი (ასახელებს) ეს გახლავსთ, გარდაცვალებულს დღეს ასაფლავებენ, მიუგო გლეხმა.

— მაშ გაცხადება რათ გინდათ, თუ კი დღეს ასაფლავებენ, გაცხადება ორა სამი დღის შემდეგ დაიბეჭდება და ამ გაცხადებით ვილა მოვა, მიუგო გლეხს, მალაზიის პატრონმა.

— ხალხის დასაბარებლად კი არ გვინდა, გაზეთში ჩაბეჭდვა გარდაცვალებულისა კარგია, გაზეთში გამოცხადდება მისი გარდაცვალება და დიდხანს დარჩება მისი ხსენებაო, ოღონდ დაიბეჭდოს და როდესაც იყოს, სულ ერთია...

სხვა ათასნაირ უბრალო და გამოუდევარ ხარჯს ამ გლეხმა სულელური წამხედურობით ორი მანეთი

ხარჯი კიდევ მიუმატა! თავის მღვდელს დიაკონითურთ მთელი ერთი დღე შეხზედ დგომისთვის იმ ოთახში, სადაც განსვენებული ასვენია და სადაც ხშირად ცული ჰაერისა გამო სუნთქვაც არ შეიძლება, პანაშვილების გაღმადისთვის სამი და ხუთი დღის განმავლობაში და რამდენიმე წიგნისთვის რომ მთელ კრებულს 5—6 მანეთი მისცეს, დღიური ანგარიშით ორ კაცს ერთი მანეთი, ერთ ყვირილს მოართობენ: დღეილუბეთ, მღვდლების გარდასახადს ვეღარ გაუძელოთ!...

\* \* \*

დასაყვედურ საქართველოში დღემდის არსებობს ერთი ცული ჩვეულება— თვალთმაქცობით გარდაცვალებულების ტირილი. ტირილი ისეთი თვისებაა კაცისა, რომ ქვეყანაზედ არ მოიშლება იგი სანემ კაცობრიობა არსებობს. ტირილი, მწუხარება და გლოვა ყოფილა, არის და იქნება. ჩვენ ვამბობთ იმისთანა ტირილზედ, რომელიც უხაროდ არ მოხერხდება და რომელსაც კაცი თვალთმაქცობით ასრულებს კაცის მიყოლით. ბუღს არ ეტირება, მაგრამ ზოგიერთი კაცი ხათრისათვის მაინც იჯღანება, ქვითინებს და ქვითინის დროს მთელს ტანს არხებს, მაგრამ სხვის შესახედავად. ისრებს თვალებს და რეჟამს ცხვირსახოცს, მაგრამ სად არის ცრემლი? ხან-დის-ხან ცხვირსახოცს ქვეშ ნერწყვს გააპარებს და ამოისევამ თვალებში, მაგრამ ცრემლიან თვალებს მაინც არ ჰგაცს!... ამისთანა უმგევანო და ცული ჩვეულება დღემდის მარტო დაბალ ხალხში არსებობდა და არსებობს, მაგრამ ეხლა თან-და-თან გაზეთებშიაც შემოიღეს ჩვენმა მწერლებმა ეს ჩვეულება. წაიკითხეთ მიცვალებულთა საფლავებზე წარმოთქმული სიტყვები ჩვენი მწერლებისაგან. «სიკოცნლე მოგვეწამლა, მზე დაგიბნელდა, მოგვაკლდა ერთგული მამულის შვილი, მამულისათვის თავის ქონების არ დამზოგველი (ერთი გროში კი არ დაუტოვებია მამულის სასარგებლოდ); დღეს ჩვენ ესტირით, ჩვენს თვალებზე დღელსავით მოსდის ცრემლები, ვეღარ შეგვიკავებია ცრემლები... (აუარებელ ხალხში არავის ცვარისოდენა ცრემლი არ მოსდის თვალებზედ).

დღემდის ერთი ერთმანეთს ეტყუებდით, ერთი ერთმანეთთან თვალთმაქცობდით, მაგრამ ამ ბოლო დროს დაიწყეს ლეთის მოტყუებაც! ამას წინეთ გაზეთს «საეკაზში» იყო გამოცხადებული დიდის ასოებით და პირველ გვერდზედ, რომ ამა და ამ დღეს 5—ის ეკკლესიაში აღსრულებული იქნება ამა და ამ თვადის

სულის მოსახსენებლად წირვა. მსოფთო ნაცნობთა, მოზრძანდენ ხნებულს ღღეს 2—ში. წაიკითხა თუ არა ეკლესიის კრებულმა ეს განცხადება, იგი შეუდგა თადარიგს და ყველაფერი მოამზადა წირვის ასრულებისათვის. შეურებს პატრისმცემლთ და ნაცნობთა, მაგრამ საღ არიან? თურმე ვაზეთში გამაჯანჯანდეს მარტო, თორემ ნამდვილად წირვის აღსრულება კი არ სურდათ! საქარო იყო ხალხს შეეცუა მარტო ვაზეთით, თორემ წირვის ასრულება სახეში არც კი ქანებათ. რით განიჩევა ეს საქციელი იპერული თვალთმაქცური ტირილიანად?!

\* \*

ღიან, დრო შეიცვალა. მრთი კიდევ ახალი მოვლენა: ღღემდის მარტო თეატრებში და ცირკებში ვხედავდით მასხარებს (კლოუნებს), ღღეს ვაზეთის რედაქციებშიაც ღღინახეს ამისთანა მასხარების ყოლა საქაროდ. რადესაც ხალხს მოეწყინება თეატრში ან ცირკში წარმოდგენის მოთავე კაცები, სანამ წარმოდგენისათვის მოეწყობოდენ, გამოუშვებენ ამ დროს მასხარებს. მენიც გამოღიან და მასხარობდენ და ათასწანიერ სისულელეს ჩადიან, რომ მაცურებლები არ მოაწყინონ. სწორედ ამნაირივე მზნით უნდა ჰყავდეს დაქარავებული «ივერიის» რედაქციას ეღდაცა მასხარა ბიტი, რომელიც ხან ახანაზაროვის, ხან ღღუშიკოს და ხან სხვა სახელათ გამოღოს «ივერია»-ში და თავის მასხარობით ართობს ვაზეთის მკითხველებს, რომელიც სამასხაროს მეტს არას კითხულობდენ. სწორედ კარგი საშუალება მოუტონია «ივერიას» თავის მკითხველების გასართობად!...

სოფლის მღვდელი.

წმინდი რამდამტორთან.

მ. რედაქტორო! ვინ არ იღის, რომ ბუჭდითი სიტუეას, რომელიც მიმართულია ხალხის კეთილდღეობისადმი, დიდი მნიშვნელობა აქვს. ვინ არ იღის, რომ უურნალგაზეთებს, რომელიც უოკელ საჭირო ცნობას აძლევდნ ხალხს და ამისთან უოკელნიარ ბორბოტ. მჭებელებს ამს იღებენ და საქვეუროთ ხდიან, იმ მიზნით, რომ

საქმეს დაეხმარონ, დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის და ამიტომ უკელანი კრძალვით და პატივისცემით უნდა ეკიდებოდენ ამისთანა უურნალგაზეთებს. უფრო საინტერესო საკითხია გაზეთი, რომელსაც მასში კითხულობ სოფლიადამ და დაბედადამ მიწვეილ სხვა-და-სხვა ცნობებს, მაგრამ ხშირად გაზეთებში კითხულობთ ასეთ ცნობათ, რომელიც უმეტესად უურადლებს არ დაიმსხურებენ. რედაქტორებს ვინ გაამტურუნებს ამ შემთხვევაში! განა იმათ შეუძლიათ გაიგონ დაწვლილებით მინაწიკ ცნობათა სინამდვილე! რა იღის რედაქტორმა, თუ მის კორრესპონდენტებში და რეპორტიორებში ზოგეოართნი ასეთი სულ-მდაბლნი არიან, რომ მათი ნაწერები არა თუ დაბეჭდვის, არამედ ხელის მკვიდების ღღინაიც არ არიან: რა იღის რედაქტორმა, თუ რა პირიანული ანგარიშებით ხელმძღვანელობდა მისი შემთხვევითი კორრესპონდენტი? ღღეს ამისთანა მჭჭითი კორრესპონდენტები და რეპორტიორები ხომ მრავალნი მოიძებნებიან ჩვენს სოფლებში და დაბებში. მათი ნატკრა მხლელად ის არის, რომ მათი ნაწერი გაზეთში დაბეჭდეს და სიმართლის დარდი არ აწუხებსთ. მაგრამ ამისთვის უოკელ რიგან უურნალგაზეთს წესად აქვს დადებული დაბეჭდვის პასუხი უმართლო და ცრუ კორრესპონდენტების წინააღმდეგ. მაგრამ, ჩვენდა სამწუხარად, ზოგეოართი გაზეთის რედაქციები დიდ მთავრელობას უწვევენ თავის ცრუ რეპორტიორებს და მათ წინააღმდეგ პასუხის დაბეჭდვა არ სურთ.

უკელამ იღის, რომ ჩვენს კურთხეულს ყვირილში ამ ბოლო დროს ძლიერ გამრავლდა ერთნაირი რეპორტიორები, რომელიც ხშირად გზანადენ და ღღესაც გზანადენ სხვა და სხვა ცნობებს გაზეთ «ივერია»-ში შესასებ სხვა-და-სხვა უწესობათა, რომელიც, ვითომც, ხდებოდენ და ხდებიან აქ ადგილობრითი პოლიციის ბოქაულის დაუდენელობით. უკელა ამ ცნობების შესახებ ჩვენ პასუხი გავგზავნეთ «ივერია»-ში, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირვებლად, ჩვენი პასუხი არ იქნა დაბეჭდილი. რატომ? სწულებით არ ვიცით! ალბად რედაქცია მომხრეა თავის ცრუ რეპორტიორებისა. სხვა ქანთული გაზეთი არ არსებობს გარდა თქვენი გაზეთისა, და ამისთვის გთხოვთ, ნება მომცეთ, პასუხი უოკე ყვირილის რეპორტიორებს, რაშიაც მამტურუნებენ იგინი.

გაზეთ «ივერის» მე-71 №-ში წესტაფიანდამ ერთი კორრესპონდენტი შემდეგს მოუთხრობდა მკითხველებს: «აქ ერთი ღღე ასე არ გაა რომ კაცის კვლ

და ცენტრ-გლეჯი არ მოხდეს დ. ყვირილაშია. და-  
სამტკიცებლად თავის სიტყვებისა კორექსზონდენტო  
სწორდა: ყვირილ, გორნებ, კიდევ მოჭკლეს, არაბიძის  
დუქანში გარე ცენტრებს და გველაფერი წაართვეს.  
დაბა ძლიერ ბინძურად არის შენახული და ადგილობრი-  
თი ადმინისტრაციის უურადადებს არ აქტებს».

ვინ არის, ბატონო, ეს მგონი, რომ მოკლეს, ან  
ვინ მოკლავ და სად, რომ ვერც მკვლარი ვნახეთ და  
ვერც მკვლელო? ვინ ცენტრებს ზესტაფონშიდ და  
მთლად ყველაფერა წაართვეს ასე, რომ სმა არ გამოუ-  
ღია და სასამართლოს ვარებადის ვერ მიუხწვია? რათ  
იწუხებთ თავს, ბ. კორექსზონდენტო, ამ გვარი სიტ-  
რუის წიკით და ან რათ უხდერთ თქვენის ნაფუძვლით  
გაყეთის სახელს და პატრის. შეიძლება რაიმე პიროვნება  
გაწუხებდეს ვინათმე? უსუფთაობის შესახებ წერას რა  
ღესაც შესაძლოა მართ, რატომ იმასაც არ მიატყობთ  
ყურადღება, თუ რა ნაირო მდებარეობა აქვს ჩვენს და-  
ბას. იგი ხადიდგან დაწვეული ცეკმიული მთელა რაი  
ვერსის სიგემქსედ და გამეჭვლენტილი რაი გზასა და  
მდინარეს შუა, წინ რინის გზა და შარა მიუღის და  
უგან მდინარე ყვირილა. მეტი გასანძრევი ადგილი არა  
აქვს. ესლხ მიბრძანეთ, თუ წელიწადშიდ რამდენი ფუთი  
მარტანევი იგზავნება დ. ზესტაფონიდან და ეს ქვა  
რომელ გზაზედ გაივლის? რასაკვირველია, რომ მარ-  
ტო ამ ერთმა გზამ, რომელიც ყველა დუქნების წინ  
ჩაივლის, უნდა იტვირთოს რამდენიმე მილიონი  
ფუთი ქვის ზიდვა და თქვენ გნებაგისთ, ბ. კორექს-  
ზონდენტო, ამ შარის სუფთად დაცვა? გარდა  
ამისა, ბ. კორექსზონდენტო, რატომ ისიც არ  
მოხისხნეთ, რომ ეს რცა წელიწადი მეტია, რაც დ.  
ზესტაფონში დღემდის ერთი ფარანიც არ დგომულა და  
არც არავის მოსვლია მისი დადგმა ფიქრად. დღეს კი  
აქ ყველგან ფარნები არის და დამის ყარაულებიც თავ-  
თავის ადგილზედ დგანან და წესიერებას იცავენ. თუ  
ავაზაკების შესახებ წერა გსურდათ და მასთან სიმართ-  
ლის მიმდევარი ბრძანდებით, რატომ არ იხებთ გა-  
დახსრევა ქაღალდებისა მაზრის სასამართლოშიდ, ან გა-  
მომიბუბლეთან არ შეიტყუთ ყოველ წლის მკვლელობის  
და ცენტრ-გლეჯის სტატისტიკური ცნობები? მაშინ  
დაწმუნდებოდით, რომ ამ რაი წლის განმავლობაშიდ  
უფრო ცოტა მოხდა მკვლელობა, თუ წარსულ წლებშიდ და  
ეს მკვლელობა ან ქურდობა ახსნილია თუ არა? აქ მ-  
ჭკლეს შარშან ბ. ვაზბეკის ერთი მუშა, მისი მკვლელო

წარსულია თუ არა? საქმე ახსნილია თუ არა? წელს  
არაბიძის რესტორანში რამ ფულები დაიკარგა, ის  
ფულები ნახულია თუ არა? ქურდები დაჭერილია თუ  
არა? რასაკვირველია ესკები რამ დაგეწვრათ, მართალი  
იქნებოდით, მაგრამ, საუბედუროდ, სიმართლით წერა  
და თქვენ ასე შორის შორს ბრძანდებით, რომ ვერც  
თქვენგან დეტარბული დ. ზესტაფონი და ჩანეთის  
ს.სელმწიფო. ყველაფერა ესკები მოხდა ამ რაის წლის  
განმავლობაშიდ და ამის შესახებ რადგან არაფერა ცნო-  
ბები გქონათ, მობრძანდით ან ჩემთან, ან გამომიბე-  
ბეთინ და შეიტყობთ, რომ ყველაფერი ახსნილი და  
ნაწარმოებია. მაშ რაღა გნებაგისთ ჩვენგან? აი ასე უსა-  
ბუთოდ და უმართლოდ სწერენ ზოგიერთები, რადგან  
საქმის გარემოება არ იცან და არც უნდათ შეიტყონ.  
დ. ყვირილა დღეს ისეთ ადგილს წარმოკვადგენს, სა-  
დაც ერთი ბოჭაული მუდამ ამ დაბას უნდა უვლიდეს,  
მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, შეითხველო, რომ ჩვენს  
საგანგებოს შეადგენს არა მარტო ერთი დაბა ყვირილა,  
არამედ ეჭვის-შვიდი საზოგადოება. ვინც განისილავს  
ჩვენი საქმის წარმოებას და მასთან ჩვენს განცალკავაში  
მოხამასსურა შერთა რაოდენობას და მათ ვამბავს,  
მასთან ამ აურაგებულ მოთხოვნილებას, რომელთაც ჩვენ-  
გან ითხოვენ, ყველას გაუკვირდება, თუ როგორ ას-  
რულებს ყოველივე ამბებს ერთი ბოჭაული. მართალია  
ბოჭაულების რიცხვი მოუმატეს, მაგრამ ამ ბოჭაულებს  
მარტო ბორტო შიკრებს დაჭერის საქმის მეტი კიდევ  
სხვა მრავალი მოვალეობა აქვსთ. ვას აქვს გამოკვლეუ-  
ლი და შეტუბილი, თუ რამდენი დაბრკოლება უდგია  
წინ პოლიციის ბოჭაულს ზოგიერთი მისგან ნამდვილად  
შეტუბილი ქურდების დაჭერის საქმეში? ზოგიერთს  
ჩვენს კორექსზონდენტებს ჭკონათ, რომ კაცის კვლავ  
და ცენტრ-გლეჯი მარტო ჩვენს მაზრაში ხდება. არ  
იცან, რომ ვერძონს ზოგიერთ განათლებულს სასელმ-  
წიფოებშიდ კი ხდება ამისთანა საქმეები, სადაც პოლი-  
ციის მოხელეთ ყველაფერა ხელს უწყობს და ღონეც  
აქვსთ, რომ ასეთი ცუდი საქმეები არ მოხდეს. მაგრამ  
ამბების დაზარაკი და წერა განა დიხს ჩვენს ზოგიერთ  
ცრუ კორექსზონდენტებთან? გაეგებთ მათ ყველა ის  
გარემოებანი, რომელნიც ხელს უწყობენ ჩვენში ავაზაკებს?

პოლიციის ბოჭაული ბ. ქავთარაძე.



მოკლე ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

სიმრთელის კიდობანი

აჭახში საკითხ-სახმარებელი სამკურნალო წიგნი,

შედგენილი და გამოცემული ი. მას—ძის სულაქველიძის მიერ. ფასი 1 მანეთი.

ეს სამკურნალო წიგნი შესდგება 224 გვერდისაგან. დაბეჭდილია ფოტოტიპით. გამოცემულია სუფთად. ფორმატი წიგნისა საშუალოა. წარწერისაგან სჩანს, რომ ეს სამკურნალო წიგნი შედგენილია ბ. სულაქველიძისაგან, მაგრამ წიგნის შინაარსი ამტკიცებს, რომ იგი არის ნათარგმნი რუსულიდან. დღეს-დღეობით ჩვენში იმდენი ქართველი ექიმები გვახვს, რომ მათ ადვილად შეეძლოთ ამისთანა სამკურნალო წიგნები გამოეცათ და გავერცელებით ჩვენს ხალხში და ამით დაემაყოფილებიათ ხალხის სურვილი. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ექიმები ამისთანა სამკურნალო წიგნების გავრცელების წინააღმდეგნიც არიან. და რისთვის? ეს ერთმა დამერთმა უწყის. არც ერთ მათგანს დღემდის ერთი ფურცელიც არა დაუწერია—რა ხალხისათვის. ხალხში კი დიდი სურვილი არის ამისთანა სამკურნალო წიგნების კითხვისა. ხალხის ამ კანონიერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ალბად შეუდგა ამ სამკურნალო წიგნის გამოცემა, სამწუხაროდ, ძლიერ უფერულია. სულაქველიძე სიტყვა-სიტყვით შესდგომია რუსულიდან ქართულს ენაზე თარგმნას და ამისათვის მრავალი ადგილი გაუგებარია. ბევრს ადგილას ნახმარია საჩოთირო სიტყვები, რომელნიც ადვილად შესაძლო იყო გამოეთქვა უფრო საადვილოდ და ზრდილობიანად. მრავალს ადგილას სიტყვები შეცდომით არის ნათქვამი. მაგალითად მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილს წიგნიდან.

1) დიდი სასხლის ბრუნვის დანიშნულება ის არის, რომ სისხლსაგან ანაშობოს უკარგისი ნივთიერება, დაიტოვოს ღვიძლი, თირკლემბა, გამოსცეს გარეთ და ასაზრდოვოს ტანი. (იხილე გვერდი 8).

1) ვერა გაგვიგია-რა! ვინ დაიტოვოს, რა დაიტოვოს? რა გამოსცეს? რით ასაზრდოვოს?

2) გონიერება მკვლარი კაცის მძაბრი თუმცა არ არსებობს, მაგრამ უგუნური კაცის ცხოვრება და ღლილი შესაძლებელია. ეს მისგან წარმოსდგება, რომ თავის ტვინი არ აქვს დამწიფებული. (იხ. გვერ. 15).

2) პირველს ორს წინადადებაში არავითარი დოდიკური კავშირი არ არის, ქვევით აზრი აბნეულია და მრუდე.

3) ნაღველი წარმადგეს აბრეშუმის ტყის ზარკის მკვანე ბუმბუსს, შიგ მთელითაღო ფერის სითხეა— (ნაღველის წვენი). მისი წვენი მსხვილ ნაწილებში ხსნის საჭმლის ფაფაში არეულს სასარგებლო ნაწილებს, რომლებსაც შეიწოვებს ნაწილების კედლები, დაჩება გაუსხნელად მხოლოდ ის ნაწილები, რომელნიც სხეულისათვის უკვლად უსარგებლოა და იწოდება ნეხკად; რაკი ნაწილები და მუცლის კედლები მოძრაობენ ჩვენს ნებას გარეშე (?!), იგი გამოიყრება გარედ. (იხილე გვერ. 18).

3) ვის გაუგონია და რომელ ფიზიოლოგიაში სწერია, რომ ნაღველის წვენი საჭმელს მდიდრს მსხვილ წილებში?!

4) დახრწნა, დამყავება მინაღები საჭმლისა და მისი ზომიერად მოწილება დამოკიდებულია ნაღველის წვენზედ, ე. ი. ნაღველის წვენი იტავს საჭმლის ფაფას მსწრაფლ დახრწნისაგან. (იხ. გვერდი 19).

4) დარწმუნებული ვართ, რომ ამ სიტყვების პირველი ავტორი ასე არეულად არ დასწერდა, მაგრამ მთარგმნელს კი სრულიად ვერა გაუგია-რა.

5) თესლების ბუდე (яичникъ) მღებარეობს საჭი-ჭაუგეში, სადაც დათავდება მუცლის კადე. თესლი გამოკარდება თუ არა ბუდედან, შექანდება მუცლის სივრცეში, იქვე დახვდება საშვილოსნოში შეყვანი-

მილი (Фаллопиевы трубы), რომელს შარი გახსნი-  
ლია, დაიჭრეს თესვს და შეიტანს საშეაღრისი. თესვები საშეაღრისიდან გამოდის და აქარება იმ  
სისხლის დენის დროს, რომელიც აუტუდება თეთის  
რეგულ მდებარეობით სქესს. (იხ. გვერდი 51).

5) ესეც მეტად ბრიყვულად და უზრდელად  
არის ნათარგმნი!

უკანასკნელ დროს კავკასიის საექიმო რჩე-  
ვამ მოახდინა განკარგულება, რომ არავის მიე-  
ცეს ნება ნათარგმნი საექიმო წიგნების დაბეჭ-  
დვისა, ვიდრემდის თარგმნაც არ იქნება შემოწ-  
მებული მცოდნე პირთაგან. ბ. სულაქველიძეს  
ნებათვა გამოუთხოვია პეტერბერგიდან. რო-  
გორც სჩანს, ეს წიგნი არ არის განხილული  
კავკასიის საექიმო რჩევისა და ცენზორისაგან,  
თორემ ამდენი შეცდომა არ იქნებოდა შეწინარეუ-  
ლი და ნებადართული. ძლიერ სასურველია, რომ  
ბ. სულაქველიძემ ეს წიგნი შეასწოროს და შეს-  
წორებული გამოსცეს ხალხში გასავრცელებლად.

o. s.

**წმ. ათონიზმან.**

რა ვნება მოაქვს საზოგადოებისათვის უკულისხმოდ წმიდა  
იერუსალიმში და წმ. ათონში მოლოცვას?

ამ მკვლევარს საუგუნოში მზავსად შევხვ და  
შესთე საუგუნოებისა ხელსადა იწყეს ქართულებმა  
მიმსკვლა ზალესტინის წმ. ადგილებში. მაგრამ, ჩვენდა  
სამწუხაროდ, დღეს მრავალი მადან აქ არა იმ განზ-  
რახვით, რა განზრახვითაც მადიდებენ უწინდელს  
დროში. დღეს მრავალი ჩვენი თანამოქმენი მადან წმ.  
ადგილებში, მაგრამ თათონაც კარგად შეგნებული არა  
აქვს თავანთი მოგზაურობის მიზანი. ამიტომ მათ  
მოგზაურობას წმ. ადგილებში საკვებობის მაგიერ  
ვნება მოაქვს საზოგადოებისათვის. ზოგჯერ მადან  
წმ. ადგილებში ხმის გაცონებით, თორემ სრულიად არ

იციან, სად მიდის, ანუ რაზე? საჭიროა, რომ წმ.  
ადგილების თაყვანის სარგებლად გამოგზავნულმა პირმა  
ჭკითხოს თავის თავს, თუ სად მიდის? რასთვის? რა  
უნდა ნახოს მან იქ? რა უნდა შეიძინოს  
და რა მოუტანოს სამშობლოს იმ წმიდა  
ადგილებიდან? თუ ეს კითხვები და მათ შესახებ ზანუ-  
ხიც არ შეიგნო წმ. ადგილებში მოსალაგებად გამოგზავ-  
რებულმა, მისი მოგზაობა იქნება უმნიშვნელო და  
სწორეთ ამ კითხვების შეუგნებლობა არის მიზეზი,  
რომ მრავალს წმ. ადგილებიდან დაბრუნების შემდეგ  
მთლად უჭრება საწმინტოება და ვარდება უარეს არა  
წმიდებაში და ცოდვაში. ზოგნი აუგებენ ამ წმიდა  
ადგილებს და ცდილობენ ასეთი აზრი ჩაუხრკონ გულში  
სხვებსაც. ზოგმა მლოცველებმა ამ წმიდა ადგილებში  
ფარისკელობით და სიცრუით მიიღეს მონაცხნობა,  
შემდეგ გადიან სოფლად, უარ ჭეფიენ ღვთის წინაშე  
მიტემულს აღთქმას, ცოდვებს ირთვენ და სრულებით არ  
ფიქრობენ, თუ რა უსწულოებაში ვარდება. ღვთის  
აღუქმის ასეთ დამარცხებულთ წმ. ეგვიპტისა არ ამღებს  
ნებას, რათა ეგვიპტისაში შევიდნენ იგინი და საკვდილის  
შემდეგ იგინი არ უნდა დაიძარხონ ეგვიპტისაში ქრისტიან-  
თულის წესით (იხილეთ დადი რუსული კურთხევანში  
მუხლი 77, 78). ასეთნი პირნი მსგავსნი არიან იესო  
ქრისტეს გამცემისა. ეგვიპტისა ნებას არ ამღებს  
მღვდელთბისის იმ პირს, რომლის ცოლი მეძავია და  
ან თუ ვატი გასწილია. მონაზონი ცოლიანი მღვდლად  
სრულიად უშეკრია, ვინაიდან მეძავია (იხილეთ იშვე  
კურთხევანში). იმდენად დადი მოკვალეობა არის  
მღვდელთბა, რომ მისგან იელტოდენ წმიდანებიც. დღეს  
კი, საუბედუროდ, ქრთამსაც ვამღევით, რომ მღვდელთ-  
ბა ვიშოვნოთ. ამის მემქმენი პირნი რას მოკვლან?  
რისთვის უარჭევენ მათ სასიერო ქრისტე, იესო ტებელი?  
რათ მიატოვეს მათ მისი სუბუქი ტვირთი? ვისზედ  
გასტავლეს უოვლის შემძლებელი? მე დარწმუნებულა ვარ,  
რომ მათ შინაგან გონებას არა სძინავს, არამედ მაქადის  
წმეტს და ამხელს მათს სიბრუნდეს. მძინო, ვინ გაიმე-  
ლოთ ბუად შესვლა, განა თქვენი ნებით არ აღიგე-  
ტეთ? მაგრამ ქრისტეს ხელიდან სამოცის არ  
მიადეთ თქვენ და აიძულეთ წინამძღვარი აღიგეტად  
სამეფოთ კარის წინ. რა აღუთქვით მამან ქრისტეს?  
მამან თქვენი სიტყვები იყო: «ქრისტიანთა ნებითა  
ჩვენითა მოკვდით», უკეთესი იყო ან სრულებით არ  
შედგომოდით და თუ შეუდევით, უარის თქმა არ შეიძ-  
ლება. გონებ, მძინო, ხარცვილი ვატი იმედით და

საბუთით იკადრეთ თქვენ ეს საქმე. ვინ არს ის პირი, ი უღას მისკაცი, რომ აღკვეცილ ბერს ამოღებს მოწმობას, ვითომ ის აღკვეცილი არ არის. მან ფუფუნისათვის უნდა გაზვიადოს ქრისტი, როდესაც ცოცხალია აღკვეცილი და სსკანი მოწამენი. რისთვის მისცა ამ კაცმა ნება ცოლის შეერთება? სწულს ბერს გონება ამხელდა სიბრუნდეს, მაგრამ რადეს იშოვა საბუთი, კანდიკად შეჭაღრს ქრისტიეს უარისყოფა. საჭიროების დროს მე დავასახელებ იმ პირს, რომელთაც წმ. ათონში ბერობა მიიღეს და დღეს ცოლები ჭებუთ შეერთდნენ. როგორნეთ პატივით მოციქულის შემდეგი სიტყვა: «არათუ კაცს, არამედ ანგელოსს დაჯერება სუკველია, ვინაიდგან პირველად იმითი დაბდა ცოლვა და ხესენელიდგან ქვესენელმდის შთახდაცენ. ცრუს მთქმელს საშინლად სწუველის სული წმიდა ღვთის პირით: «რომელი იტყოდას სინჯუსა, არა წარმართის წინაშე თვალთა ჩემთა». ხალხ სოლომონ იტყვის: «რამეთუ სიმაკელ არაინ წინაშე ჩემსა ბაგენი მტყუარნი». ეს ცრუ პირნი წამოვიდნენ აქედგან და მართებლობას გამოსტყუეს კურთხევა, მაგრამ ამ სამსხუტსაც უარს ჭებოფენ, რატა მოწმენებათ.

ამ წმიდა ადგილებიდან ზოგიერთმა დაბრუნებულმა ბერებმა სრულად სასოება წარუგვეთეს საზოგადოებას თავისი ცრუი მოქმედებით. ზოგმა მათგანმა შეგნება დიდ ძალი ფუფუნისა წარაგად. ისევე ათონში დაბრუნების მიგვირ მით იწიეს ქალაქებში ცხოვრება უწესოდ და ურცხვიოდ. ზოგს მათგანს არ ქონდა არავითარი საშუალება, მოიგონა ბერობა, წავიდა წმ. ადგილებში, შემდეგ გაინადა ნათხვარი ბერობა, ისევე სოფლად წავიდა, სინჯრით გამოსტყუა მღვდელობა ეპისკოპოსს. ბოლოს ეს ფინც გასტეხა და ასე უსაფუძვლად ნაგონთხი გაცი თავისუფლად დასეირნობს. ამისთანა ცრუ მოქმედებით ისინი რას გებულდბენ? გებულდბენ დაუსრულებულს კინჯა-უგადრებას ყოველ კაცთაგან და თავის სინდისისაგან. ხალხ ესენი თავს იმართლებენ და მუსრვენ მათი სინდისის მხილებას. ამისთანა პირებს დიკნია უთხრათ სიტყვა ფსალმუნისა: «და აყუ პირი, რომელი იტყოდას სინჯუსა». ზოგნი მოდიან წმ. ადგილებში და ლოცვის მაგივრად, მსაქთ ლანძვარ-გინება, რომელსაც ჭებენ სოფელსა. ზოგს სურს, რათა მათი სურვილისაებრ პატრიარქმა მიიღონ და ბოლოს დიდის ამბით გაისტუმრონ; დიდ გულდბენ და ბრძენებდბენ, თითქმ გინმე ბატონი მოვიდა თავის ყრმის რჯახში. ზოგნი უარეს ცოდვებს

იმენენ, ვინაიდგან მოდიან დიდების მოკვარებით და არა სიმდაბლით. იგინი ბერობის შინაგან მდგომარეობას გი არ უგვირდბიან, არამედ გარკვენი ხილვით გამყოფილდბიან. მათ მიმოსკლას რადც სხვისკენ აქვს მიმართულება. წმ. ადგილებს მომლოცველს უნდა ეტყოდდეს რამე შეცვლა. ავთმყოფი რისთვის მივა მკურნალთან? რათა განიკურნოს. ეგრეთვე მართლმადიდებელი ქრისტიანი მისთვის მიდის წმ. იერუსალიმში, რათა სულით განიკურნოს ქრისტიეს მადლით, რომელმინ მიიღო ჩვენი ბუნება თვინიერ ცოდვისა, აღიზარდა, ივნო, ჯვარს ეცვა, დაფულა, აღსდგა და ამოღდა. ამ წმ. ადგილებს ვინაიდგანით საწმენდობით და სასოებით მოსატყვევლად ცოდვათ. ვინც ამისთანა ცხოველი საწმენდობით მიდის წმ. ადგილებში, ის, იმედა, მიიღებს ცოდვათა შენდობას. დიდად უგვიოსისა წასუკველიობა, ვინემ წასვლა და უგანვე ურწმუნობით მოქცევა და ქონებულის დაკარგვა. საკვირველია ზოგიერთების საქმე. მიდიან დიდის საჩხით და არ იციან გი, სად მიდიან, ანუ რაზე! ასეთნი პირნი შესვდავენ იერუსალიმს, მთაწმიდას და ამით თავდება მათი მოგზაურობა. ნახეს ქალაქი და მთა და რადგან ჩვენსადაც მრავალი ქალაქი და მთანი არიან, არაფრად შერაცხეს წმ. ადგილები. შემდეგ გარბიან დიდის უბედობით სოფლად, გაიძახიან: იერუსალიმში ვიყავით და კანდიკებით თხვანას ხელს მიჭებენ; ზოგნი მათგანი ითხვენ ანაფორას და ქუდს და ამბობენ, იერუსალიმში მკურთხესა და დგობიან ეკლესიაში, ცხოვრებენ შორის დღეთა, ადგილობრივ მღვდელს წინ უდგებიან, საწინავეებს დებულდბენ, ვითომ ავსაზნიან წმ. ადგილებში და თვითონ გი ხარჯავენ უწესოდ. ამისთანა პირებისაგან იბადება მრავალი ბილწუანი. თქმობენ წმ. ადგილებს ნახვით შეიძინეს სწავლა და ბერობა, მაგრამ სახელის გამოცვლით სწავლა არ შეიძინება, არამედ მრავალი რფლით და ჭირით უნდა ისწავლო. ბერობა შესვდვით არ ისწავლება, არამედ მრავალი შრომინი... ძმანო, ვინ არის მაიმულბელი, რომ უთუოდ წასვიდე წმ. ადგილებში. მოდიხართ თქვენის ნებით და მიდისართ თქვენისკენ ნებით და აგინებთ წმ. ადგილებს. ეს რა საკადრისაზე თუ ვინმე ერთმა გაწყენით, სთქვით, ერთმან გაწყენით და რას უგარკვით სხვას სასოებას. ეს დიდი ცოდვა არის. ძმანო, გონიერება და პატრიარქება არ მოიგება შერით და მტრობით, არც მხსუნებულობით და არც ჭახულობით. აი სოლომონ ბრძენი რას იტყვის: „რამეთუ

კიბეკისა ზატოასნება, ანა მრავალუამი, არცა რიცხვი წელთა აღწაცხილ, რამეთუ მცხვანება ანს გონიერება კატთა, და ჭასკასიბეკისა ცხვრება უბიწო. ამ ზატა-რა ღარბმა საგანემ ათონის მთაწმინდისმან გამაზარდა მრავალნი ზარნი, რამელთაგან ბოლოს საგანემ შიილო კეთილას მაკიერ მრავალნი უწესო საქმენი.

ის ზარნი, რამელნიც ზეენ საბეში გვევას, სახელის და გვარის დაუსახელებლად მისკდებაან ჩვენს აზრს და, იმედია, მასუსს მოგვტემენ, თუ რად წადიან ისინი ასეთ საქმეებს და ამით რად უტეხენ სახელს წმ. ათან-ზე მოღვაწე ზართ საზოგადოებას თვალში?

მ. იოანე.

მოსუცი მამა.

(გურამიშვილის კილო).

მამა აზობდა ბედკრული, შვილი გავზარდო, მამის კალი შეიღისადმი მით გადვისადო, შვილს ვუთხარი: მე მოგხუცდი, რჯახს მოხედო, მამის კალი შვილს თუ მაროებს, შენც გადასადო. «კლუბში» ფულებს ნულარ ხარჯავ, აქ მოატანო, ჩემი რძალი, შენი ცოლი აქ მოიყვანო, თომკლავ, შეიღო, მოხუცებულს, რომ არ მოხვიდო, ჩემსა ნაკვდავს ამ შენს რჯახს სელი მოკიდო, გაგალებული თუ არ მაქვს, კალიც არ მაქვს მეო, ჩემი ნაღვაწი შენც ჭამე და მეც მაჭამო, შენი რაც გაქვს, შენვე გტანდეს, ის არ მინდა მეო. დიდს შრამასა თუ ვერ შესძლებ, ცოტა იშრომეო; მტერს თვალეი დაემსება, იღხენს მთუვანო, შენც ისარე ჩემთან ყოფით, მეც გამახარო, რჯახის მჭახრსა საფლაუში ნუ ჩამატანო. — შვილი მასუსს არ იმდევა, ფიქრებს, რა კენა მეო, ჩემი ცოლი რომ ვითხოვე, მამინ წავაგო, ხან ვესვეწო, ხან გამეჭავრდი, ვახივე, ვაწამო, მრავალ გზისადილ-გახშამი აღარ ვაჭამო, მაგრამ სოფელში ცხვრებას ვერ დაეთანხმეო, შიიქით დამამხარა, მეც დაეთანხმეო.

რადუნ საფაონელი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

სახელმწიფო რკინის გზების დროებით სამმართველო, როგორც სწერენ «ივერია»-ში, ერთ ინჟინერისადგან მიუღია მუთათისიდან მთელი პროექტი ჩენის მხრიდან ძველამდე რკინის გზის გაყენის შესახებ. ეს ინჟინერი აცხადებს თავის პროექტში, რომ მუთათისიდან ძველამდე თუ გაიყვანება რკინის გზა, უფრო იათადაც დაჯდება და არც ნაკლებ სამედო იქნება, ვიდრე ის გზა, რომელიც უნდა გაიყვანოს მიანერობამ ატალიიდან ძველამდე ხესურეთის მთებითაო. ზემო იქვეთში ამ ინჟინერს ბერი ძველის-ძველი გვირაბები უნახავს თურმე აქა-იქ გამოქვებული დიდს მანძილზედ. ეს გვირაბები რომ გამოიწმინდოს და შეკეთდეს, აღვილად შეიძლება რკინის გზაც გაიყვანონ ამ გზათაო.

დროებით სამმართველო ეს პროექტი წარმოუზახენია ბ-ნს რადეცკისათვის, რათა ადგილობრივ გამოიკვლიოს ამის სიმართლე და მერე ამის შესახებ თავისი აზრიც მოახსენოს სამმართველო. ამის გამო, ძველასიონის ქვებზე რკინის გზის გაყენის საქმეს კიდევ ახალი ფერი დედო და ენახოთ, რა ბოლო მიეცემა ამ ახალს პროექტს.

\*\*\*

სამრევლო სკოლების შენობები შორაპნის მახარაში, სახელდობ საჩხერეში და რუფოთში დასრულებულ იქმნენ და პირველ სექტემბრისათვის ამ შენობებში სწავლა დაიწება. საჩხერეში სკოლის შენობა აღშენდა სამღვდლოებს საკუთარი ფულით, ხოლო რუფოთში სკოლის შენობის გაკეთება ითავა აზ. ბ. ნიკოლოზ სიმ. ჩიკვაძემ თავის საკუთარის საშუალებით. როგორც ვიცით, ბ. ნიკოლოზ ჩიკვაძეს სურს უზრუნველ ჰყოფს ეს სკოლა ყველაფრით

სამუდამოდ თავის მოსახსენებლად. სწორედ პირველი მაგალითია ჩვენში ბ. ნიკოლოზ ჩ—ძის საქციელი.

\*  
\*\*

„მწყემსი“-ს რედაქცია უკვე შეუდგა სასულიერო კალენდარის გამოცემას მომავალი 1892 წლისათვის. ძალენდარში უფრო მომეტებული ადგილი დაეთმობა საექიმო ცნობებს, რომელთა ცოდნა ფრიად საჭირო და სასარგებლოა. აგრეთვე კალენდარში იქნებიან ჩართული საინტერესო სურათები.

\*  
\*\*

ზოგიერთი პირნი გეთხოვენ ჩვენ, რომ ჩვენს ვაზეთში დაბეჭდილი ყველა განმარტებული საექვო კითხვები ერთ წიგნაკად გამოვსცეთ, რადგან ამ წიგნის მეოხებით უფრო ინელმძღვანელებს ჩვენი სამღვდლოებაო. მაცნობებთ ამ პირთ, რომ ზოგიერთი საყურადღებო საექვო კითხვების განმარტება დაბეჭდილია ჩვენგან გამოცემულ სასულიერო კალენდარში. შემდეგში კი, როცა ამისთანა საექვო კითხვები ბლომად იქნებიან განმარტებულნი, მაშინ ყველა ამ განმარტებულს კითხვებს ერთ წიგნად გამოვსცემთ.

\*  
\*\*

4 აგვისტოს ქუთაისის საკრებულო ტაძარში ყოველად სამღვდლო იპერეთის ეპისკოპოსმა ბაბრიელმა ქალაქის სამღვდლოებითურთ შეასრულა სამადლობელი პარაკლისი მათი იპნერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის მემკვიდრე ცესარევიჩის შორეულ ქვეყნებში მოგზაურობიდან მშვიდობით დაბრუნებისა გამო. აქისთანავე სამადლობელი პარაკლისი გარდახდილ იქმნა ეპარქიის სხვა მრავალ ეკკლესიებშიაც.

\*  
\*\*

გუგაიდან გმწერენ:

«თითქმის ერთ თთვეზე მეტია, რაც ბურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ყოველად სამღვდლო გრიგორია მოგზაურობს ბურიაში ზოგიერთი აქაური ეკკლესიების დასახედავად. 21 იელისს მათი მეუფება კრებულთითურთ მწირველი ბრძანდებოდა სოფლის მამათის წმ. იაკობ-მოციქულის ეკკლესიაზე. ტაძარი მთლად საესე იყო მლოცველებით. წირვის შემდეგ ყოველად სამღვდლომ წარმოსტქვა სიტყვა, რომელშიაც მსმენელთ ცხადათ განუმარტა სწავლის დიდი მნიშვნელობა ადამიანისათვის ცხოვრების ასპარეზზე და უსწავლელობის შედეგი. მშობლებს ურჩია მათი შვილების აღზრდა და ბავშვებს დაურიგა პატარა ჯვრები. სადილათ მათი მეუფება მიპატიებული ბრძანდებოდა მღვდლის ღვეით ნიკოლოზის ძის ძილაძისას, რომლის ეზოსაც ურიცხვი პატარა ბავშვები მიაწყდა, ვინაიდან გაიგეს, რომ ყოველად სამღვდლო ბავშვებს ჯვრებს ურჩებდა. თუმცა მათი მეუფება დაღლილი იყო, მაგრამ სათითაულოდ მოუწოდა ბავშვებს და ყველას თავის ხელით დაჰკიდა ყელზე აბრეშუმის ლენტით ჯვრები.

რევიზიის დროს ყოველად სამღვდლომ ნახვდრენიკით დაჯილდოვა სოფლის სირაულის წმ. ბიორგის ეკკლესიის მღვდელი ნიკოლოზ იესეს ძე ძილაძე და მამათის წმ. იაკობ-მოციქულის ეკკლესიის მღვდელი ღვეით ნიკოლოზის ძე ძილაძე».

\*  
\*\*

ამას წინეთ ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მომავალი ნკენისთვიდამ ხელ-ახლად გაიხსნება დასაწყისი მოსამზადებელი კლასები. მხლა შევიტყეთ, რომ ამ განყოფილებათა მასწავლებლებად ყოველად სამღვდ-

ლოს, იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს დაუმტკიცებია, თანახმად სასწავლებლის სამმართველოს დადგენილობისა, ბ. ბ. ილარიონ და სპირიდონ ან. მატარაძეები. ბ. ილარიონ მატარაძე დიდხანს იყო მასწავლებლად ამ განყოფილებათა ნორმალურს კლასში, მაგრამ შემდეგ ამ განყოფილებათა დახურვისა, იგი უადგილოდ დარჩა. იმედია, რომ ბ. ი. მატარაძე დღესაც ისეთივე მუყათობით მოეციდება თავის მოვალეობას, როგორც წინათ ეკიდებოდა და რისთვისაც არა ერთგზის დაუჯილდოებია იგი სამღვდელთა კრებას წიეთიერად და სიტყვიერი მადლობით.

\* \*

როგორც შევიტყუთ, მისს მალე ეოკლად უსამღვდელოებს, საქართველოს ეკლესიის, მთავარ-ეპისკოპოსს პალატის ერთი მშენებელი საქმე განუზრახავს. მათი მუეუება სახეგს უწმ. სინოდს, რომ საქართველოს ეკლესიის წმინდანები შეერთებულ იქმნენ რუსეთის ეკლესიის წმინდანებთან სინოდის გამოცემაში, რომელშიაც უკელა წმინდანები დასატუნია არიან და საჭარბების დროს მხატვრები ამ გამოცემით სელმდგანებენ...

\* \*

მაზეთ «ივერია» ში ეკითხულობთ: «მოკლე ხანში შემოდებული იქნება რკინის გზებზე სამკურნალო სამსახურის დებულება. ამ დებულების ძალით რკინის გზებისათვის სავალდებულო იქმნება, რომ ყოველს სახალხო მატარებელში ფერშალი იყოს. მზებზედ იმდენი ფერშალი უნდა იყოს, რამდენიც კონდუქტორების დასია სახალხო მატარებლებისა და ერთიც სავანგებო მატარებლისა და იმ შემთხვევისათვის, როცა მორიგი ფერშალი ავად განდება. ყოველს მატარებელში უთუოდ უნდა იყოს ცალკე

განყოფილება (კუბე), რომ, ვინცობაა, უეცრად ავად განდეს მგზავრი, იქ დაწვინონ; მატარებელშივე უნდა ჰქონდესთ უსაჭიროესი საექიმო მასალა და წამლები, რომ პირველი შემწეობა აღმოუჩინონ ხოლმე ავად-მყოფებს.

\* \*

რაჭილამ გეწერენ: იკლისის თთვის 26 ლიკორწმინდის საბლალოჩინო ოლქის სამღვდელთა კრება ჰქონდა სოფელს ლიკორწმინდას. ადგილობრიმა ბლალოჩინმა მ. ნ. პანდელაკმა, სხვათა შორის, შეკრებილ სამღვდელთა გამოუცხადა, რომ მუთაისის სასულდერო სასწავლებელთან დაარსდა ძმობა დავით აღმაშენებლის სახელობაზეო და შემდეგ განუმატრა კრებას მიზანი ამა ძმობისა და ურჩი მღვდლებს, რომ მათ შემწეობა აღმოუჩინონ ამ მშენებელს და სასარგებლო დაწესებულებას. შეკრებილ სამღვდელთაში მარტო ორი პირი ჩაეწერა ძმობის წევრად თვით მ. ბლალოჩინი და მღვდელი მ. მესხი, ხოლო სხვაებმა ერთ დროებით შესწირეს ძმობის სასარგებლოდ თითო მანათი.

\* \*

მუთაისის კლასიკური გიმნაზიის მთავრობა აცხადებს, რომ ყველა კლასებში შესასვლელი და განმეორებითი გამოცდა ამ გიმნაზიის მოსწავლეებისადანიწნულია ამა თთვის 21, 22, 23 და 24 რიცხვებსაო.

\* \*

მაზ. «ივერია»-ს შეუტყვია, რომ ბლალ. დენიკოლოზ ქა ლისტოვი უწმ. სინოდის განკარგულებით გადაყვანილ იქმნა პიევის გუბერნიის ქ. შმანში უბრალო მღვდლად.

\* \*

სოფლის ხოტყვის ეკლესიის მღვდელი ბრიგოლ პაციტაძე გულითად მადლობას სწირავს ახ. ჯანამ ლუკასხის ძეს გოცინაძეს, რომელსაც ზემოდ აღნიშნული ეკლესიისათვის შეუწირავს 1 რწყვილი ბაირახი და ერთი რწყვილი გვირგვინი.

\* \*

მღვდლის პატივად მსაქტიშვილისგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! შპორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენი ჟურნალის „მწყემსი“-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო კენიან სოფელ ნიკოლოზის ასულს ნაკაშიძასს, ესტატე ნიკოს ძე მსაქტიშვილს, ივანე პეტრეს ძეს ჭავჭავაძეს და ვლადიმერ მკეპლაძეს, რომელთაც შემოსწირეს რწმუნებულს ჩემდამო ეკლესიას, პირველმა ლეთისმშობლის ეცხლის მოაქერილი 1 ხატი, ღირებულები 15 მ.; მეორემ—1 რწყვილი დიდი სასანთლები და 2 წიგნი, 1 მარხვანი და 1 ზადიკი, ყველა ეს ღირებულები 41 მ.; მესამემ—ფულად 30 მ., ხოლო მეოთხემ 1 მშენიერი ხვევრდით და თვისის შესაფერი ხატებით შემკული სახარება, ღირებულები 25 მანეთად.

\* \*

სოფლის ტყაჩირის ეკლესიის მღ. მ. ბესარიონ ძახაიასგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდად:

„მ. რედაქტორო! გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ახალ ბაიაზეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელს მ. დავით იანჭოვს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულს ეკლესიას ერთი ხელი დაფარები ფარჩისა ზედ წარწრით: მოსახსენებლად ნეტარ-ხსენებლის მისი დედის ბარბარეს სახლად და ორი ჯგარი ერთი დიდი და მეორე პატარა“.

\* \*

ნოვოროსიიდან ჩვენ მივიღეთ ფრიალ სამწუხარო ამბავი, ბეწერენ, რომ თავის ტენის ანთებით ავად გამხდარა დეკანოზი იოანე ნაუმოვიჩი, რომელიც ამას წინად ძავეკასიაში მოვიდა ჩვენი მხრის დასათვლიერებლად. მ. იოანე იელისის თთვის 30 ვაგმგზავრა ბათუმისკენ. მთხს აგვისტოს ნოვოროსიაში ავად გამხდარა, ხუთს გარდაცვლილა და ექვს დაუსაფლავებიათ. მათვე სამწუხარო ამბავი მოიტანა ძუთაისში ნოვოროსიის უნივერსიტეტის ერთმა სტუდენტმა, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა რუსეთიდან ძუთაისში და სთქვა, რომ მ. იოანე ნაუმოვიჩი უეცრად გადაიცვალა ნოვოროსიაშია.

\* \*

მრწამბათს, 5 მარიაპოლისთვეს, ჯავის ხეობაში დაუჭრიათ მღვდელი ბრიგოლ სანაყაშვილი. მღვდელი მოდენილა ცხენით და თან ორი-სამი კაცი ჰყოლია. ლიხვის ნაპირზე ტყეში დამალული ყოფილა რამდენიმე კაცი. მართამად ერთსა და იმავე დროს ორი თოფი გავარდნილა, მაგრამ ჯერ ჯერობით მღვდელს არაფერი არ უგრძენია, მხოლოდ მიმხედინდა, რომ აქ ან ჩემი მტრები უნდა იყვნენ, ან ავაზაკნო, და უკან დაბრუნებულა. მხოლოდ რამდენისამე ხნის შემდეგ მღვდელს შეუმჩნევია, რომ ხელში ტყვია მოჭხვედროდა და ჭრილობიდან სისხლი სდიოდა. შეუტყობინებიათ გამოძიებლისათვის და მღვდელი ცხინვალის ქსენონში წაუყვანიათ. ამ საქმის შესახებ გამოძიება სწარმოებს. (წიგერია).

აღბად ამ ხელში დამბლა ჰქონია დაცემული ამ მღვდელს.

\* \*

ამ თთვის 11 ბათუმში, ზღვაში ბანაობის დროს, დაიხრჩო მღვდლის მ. ბესარიონ ბიორგადის შვილი მოწაფე ძუთაისის გიმნაზიის მეექვსე კლასისა. მს პირველი შემთხვევა არ არის, რომ ბათუმში ზღვაში ბანაობის დროს ბევრი უბედურება ხდება და კაცი ყურადღებებს არ აქცევს, რომ ზღვის ნაპირას საბანაო ადგილები ხერხიანად მოაწყონ.



ს ა ნ ი ს ტ ო რ ი ო მ ა ს ა ლ ა .

# გ უ ჯ რ ე ბ ი

ბ ა ჯ გ ა ნ ტ ა ს ა .

(გ ა გ რ ბ ე ლ ე ბ ა \*).

მინცა ზურგით მზიდავი ხარი და ან სეფე ხარი 1) წაიყვანოს თერამეტი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს- მინცა მოხელეთა გავზენილი კაცი გაცარცვოს ოთხი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ორი ათასი იმას დაეურვოს. მინცა ქვერა ევისკობაზსა სცეს ანუ შეიპყრას, ანუ ავად აგინოს, ანუ უპატიობა რამე ჰქადროს თორმეტი გლეხი საყდარსა დაეურვოს და სამასი ათასი იმას დაეურვოს. მთუ გლეხი იყოს რომელმან ჰქადრა მისითა მამულითა საყდარსა დაეურვოს. მინცა კათოლიკოზსა ყმა, მსახური მოკლას ექვსი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და სამასი ათასი სისხლად და თხუთმეტი ათასი სანახშირედ იმათ დაეურვოს. და რანიცა საყდრისა მოხელენი არიან, ვითარცა საყდრის შეილთა სწვრია იმავე წესით იმათ დაეურვოს. მინცა საყდრის მონაღლე 2) კაცი მოკლას შეიდასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს, ოთხასი ათასი სისხლად და თხუთმეტი ასი სანახშირედ იმათ დაეურვოს. 3)

და ვინც ბიჭვინტის გარეშო სოფელი და გლეხი სიღვან ზარისა ხმა ისმოდეს, გატეხოს ანუ დაარბიოს, ანუ ნახირი გაუტეხოს ექვსასი ათასი ძველი კირმანაული თეთრი საყდარსა დაეურვოს და სამი ათასი იმას დაეურვოს. სახლნი რანიცა აგარანი და სოფელნი მეტოქი მონასტერი და ქალაქი სწვრია იმათ შინა მსახლობითნი გლეხნი, მსახურნი და მოინაღლე ვინცა მოკლას, ექვსასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და სამასი ათასი თეთრი სისხლად და

თხუთმეტი ათასი სანახშირედ იმას დაეურვოს.

მინც სოფელი და სოფლის კაცი დაარბიოს, ორასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ორი ათასი ორი ათასი რასდენიცა გლეხნი იყვნენ იმათ დაეურვონ და ალბათ უკლებლად შეაწიონ და რასაც მიზეზისთვის მიხდომოდენ, ისი გაუტუდდეს. და თუ მომხდომი მოკლან სისხლი და სანახშირე გაუტუდდეს. და ვინც ჯოგი და ნახირი გაუტეხოს ოცდა ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ორი ათასი იმათ დაეურვოს. მინცა ეკლესია გაუტეხოს ოთხი სახლი დაეურვოს. მინცა ცული წაუღოს ბიჭვინტის საყდრის ყმასა თუ ხუტყესი იყოს ორი სახლი დაეურვოს და თუ ერის კაცი იყოს ერთი სისხლი სრული დაეურვოს. მინცა ქალი დაუგდოს, სრული სისხლი დაეურვოს.

მინცა ვენახი დაუკაფოს საყდარსა და საყდრის ყმასა ოცდა ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ათასი ვისიცა ვენახი იყოს იმას და რისათვის უყო ისი გაუტუდდეს. აგრევე ვინცა წისქვილი გაუტეხოს. მინცა ბიჭვინტის საყდრის ყმის მეჯინებე ანუ მესაღილე, ანუ მწყემსი სცეს ანუ გაცარცვოს ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს, ათასი ვისაცა იყოს იმას. და თუ ვინცა მეკობრობით 1) რამე მოიპაროს ოცი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს. მინცა კათოლიკოზის უკითხავად ბიჭვინტის წყალი ინადიროს მოსადებლითა ოცი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს. მინცა საყდრის ყმა დაკოდოს უდლოს ადგილსა სამი გეზი დაეურვოს, თუ დალი დასვენს მეთორმეტე სისხლისა დაეურვოს.

აწ დაეამტყიცეთ მეოხებითა ბიჭვინტის ღვთისმშობლისათა საკრძალავი და შესაძრწუნებელი ყოვლისა ადამის ტომისაგან იადგარი დაედევით. მითარცა სახლთა საყდართა უწარჩინებულესი არის ბიჭვინტის საყდარი ეგრეთვე უმეტესი იადგარი დაედევით და დაეამტყიცეთ მტყიცე ბრძანება ესე არა ვისთვის გეობრძანებია ყველა დაქცევისა და შეუტყუელობისა ყოვლის ადამის ტომის კაცისაგან თვნიერ თანადგომისა და ბეობისაგან კიდე არა. სახელითა შემდგომთა ჩვენთა მეფეთა და დედოფალთა. და თქვენ წმინდანო მეფენო, მღვდელ მთავართ მთავარნო აფხაზეთისა და მართლისა კათოლიკოზნო თქვენც ასრე დაუმტყიცეთ. დადიანო—ბურიელო, ათაბეგ—

\*) იხ. «მწყემსია» № 13, 1891 წ.  
 1) ს. ს. რაბუღიანიძე ან იტას ეს სიტყვა.  
 2) აქედან იწყება ის ადგილი, რომელსაც აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენი საეკლესიო განჯების შესწავლისთვის.  
 3) საუკრადლებო ეს ადგილი სამართლის წარმოების შესასწავლად.

1) ,ბა'-ს დაკრჩინე წაუკითხავად.



ამირ სპასალარო თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ და მწე  
ეყენით ბრძანებასა ამასა ჩვენსა.

რომელმანც გვარმან კაცმან, ანუ მეფემან, ანუ  
ადიან-ბურიელმან, ანუ კათოლიკოზმან, ანუ ეპის-  
კოპოსმან, ანუ თავადთა და დიდებულთა, ანუ აზ-  
ნაურის შვილთა შლათა ხელყოს შლად და შეტლე-  
ბად და გმოხუშად <sup>1)</sup> ჩვენ მეფეთა და ადიან ბური-  
ელისა შეწირულისა მამულსა ბიჭვინტის ლეთის  
მშობლისა, მასამცა რისხავს თავად ლმერთი და სა-  
შენელი ყოვლად წმ. ლეთის მშობელი და ძე მისი  
იესო ძრისტე და ცხოველს მყოფელი პატიოსანი  
ჯვარი, წმინდანი ზეცისა ძალნი ხორციელნი და  
უხორცონი და რანიცა წმინდანი სეინაქსარსა შინა  
აღწერილ არიან და აღიწერებიან. რაცა ამა ჩვენგან  
დამტკიცებულსა იადვარსა შინა სწერიან ანუ დაიწე-  
რებიან ამის დაბლად დაქცევად ხელყოს შეჩვენე-  
ბულმც არის თორმეტ მოციქულთა მადლითა შვიდთ  
კრებათ მადლითა და ოთხთ პატრიარქთ მადლითა.  
ნურამც ემღების მის სულსა და ხორცსა ნუცა ლო-  
ცვითა, ნუცა მარხვითა, ნუცა გლახკთ მიცებითა და  
მთა წმიდის მიცებითა. დამამტკიცებელნი ამისნი  
აკურთხენს ლმერთმან.

- განონითა გამტკიცებ კათალიკოზი მალაქა.
- განონითა გამტკიცებ კათალიკოზი ევდემონ.
- განონითა გამტკიცებ კათალიკოზი ეფთქეიმი.
- განონითა გამტკიცებ კათალიკოზი მალაქა.
- განონითა გამტკიცებ კათალიკოზი მქსიმე.
- განონითა გამტკიცებ კათალიკოზი ზაქარია.
- განონითა გამტკიცებ კათალიკოზი სკიმეონ.
- განონითა გამტკიცებ კათალიკოზი დავით.

სახელითა ლეთისათა ჩვენს ბატონს ლეთი გე-  
ბოძა ადიანმან ლიონ და დედოფალმან ბატონმან  
თინათი (6) ეს წყალბუთია, ჯეფია გეობოძა მისისა  
ცოლშვილითა, რისის მქონებელიც არის მისის ყო-  
ველისფრითა და ჩვენ ბიჭვინტისა ლეთის მშობლი-  
სთვისა შეგვიწირავს სახსრად და საოხად სულთა  
ჩვენთა და დედათა ჩვენთა წარსამართებლად. მინც ეს  
ვამოსწიროს რისხავს ლმერთი.

(სხვა ხელით იწყება).

ნებითა ლეთისათა არის მედემონ კათალიკოზის  
შეწირული ერთი ოქროს ხატი ბიჭვინტისა ლეთის-  
მშობელი ბელათს ასუეენია. მართი ოქროს ჯვარი

<sup>1)</sup> გამბად.

მოთვალ-მარგალიტით. <sup>1)</sup> მართი ბარძიმი ოქროსი  
მოთვალ-მარგალიტითი. ერთი ოთხთავი ოქროთი მო-  
ქედილი მოთვალმარგალიტითი. მართი ოქროთი მოქე-  
დილი ყვიარჯენი. მართი ოქროს ომფორი მომარგალი-  
ტული. მართი ძეგლი ომფორი. მართი ნახლის ბისონი.  
მართი სხვა ბისონი ოქრო-ქსოვილი, ერთი საბეჯუ-  
რი სირმით შეკერული ოქროს ჯვარი აზია. მართი  
ოლარი და ერთი ენქერი სირმით შეკერული. მართი  
სამკლავე სირმით შეკერული, მომარგალიტებული.  
მართი სტინხარი ხუთი მეტაფრასი—წიგნი.

ნებითა ლეთისათა შევსწირე მე აფსაზეთის გა-  
თალიკოზმან. ეფთქეიმი საყვარელიძემან ბიჭვინტისა  
ლეთის-მშობელსა: გვირგვინი ოქროს მოთვალ-მარ-  
გალიტებული, ომფორი მძიბედ მოთვალ-მარგალი-  
ტებული, ბისონი სტაფრისა ოქროს ლილებითა. მქე-  
რი სირმისა მძიბედ მოთვალ-მარგალიტებული, ოქროთ  
ქსოვილი სტინხარი. საბეჯური მომარგალიტებული.  
მქროს ხატი მძიბედ მოთვალ-მარგალიტებული.  
სამსჯულდო და ძელი არის შიდა და პატიოსანი ნა-  
წილები. მეორე ქამარი არის მარგალიტისა. მეორე  
ბისონი არის შავის ატლასისა ოქროს ქსოვილი ეე-  
ცხლის თვლებიანი. ძიდევე მესამე ბისონი არის ოქ-  
როქსოვილი თეთრი მარგალიტის თვლებიანი, მეოთ-  
ხე ბისონი არის ორპირი ოქროს ლილებიანი. მეხუ-  
თე ბისონი არის მრავალჯვარი ხავერდისა ოქროსი  
ლილებიანი მოთვალ-მარგალიტებული, მეექვსე ბი-  
სონი ხავერდისა მრავალჯვარი ეეცხლისა ლილებითა.  
სტინხარი ოქროქსოვილი. სამკლავე მრავალ ჯვარი  
მომარგალიტებული. ბარძიმი ბროლისა ოქროთ მო-  
ქედილი, ერთი ფეშხუმი ოქროსი და ერთი ეეცხლი-  
სა. მართი კაზრა ოქროსად მოთვალვით, ლახვარი,  
კოვზი, ოდიკი დახატული, ღრუბელი, ერთი საზე-  
დაშე, სამი ნახლის პერექელი, ერთი ოქროს კონ-  
დაკი ოქროს მელნით დახატული ოქროს ღვრითა.  
მართი სხვა კონდაკი დახატული, ერთი სხვა ეტრა-  
ტისა კონდაკი. მართი ქაშნი, ერთი ლეთინი, ერთი  
კურთხევენი, ერთი სანთლის ჯვარი მოქედილი და  
ლამაზი მოქრით. მართი პატიოსანი გულანი წიგნი  
ლამაზად დახატული სულ ყოველისფრითა უნაკლუ-  
ლო, ერთი სჯულის კანონი <sup>2)</sup>, ერთი ძართლის

<sup>1)</sup> ე. ი. თკალ.

<sup>2)</sup> სამწესად აღ აჩას მახსენებული, რომელი  
«სჯულის კანონია».

ცხოვრება, ერთი ოქროს დოსტაქანი... მითი ჯუჯი-  
ბი, ცხენის ჯოგი, ზროხის ჯოგი და კამბემის <sup>1)</sup>  
ჯოგი.

აქედამ მეორე გვერდი იწყება. იგივე წერილი  
ხუტური ასოებითა, მხოლოდ სხვა ხელით ნაწერი.

შენ წმიდათა უფრცვლესა და უზეშთაეს შვილ  
ცათა უფრცვლესა ბიჭვინტისა ლეთის მშობელთა ჩვენ  
ცვაფარეთა შენთა მოღობილმან და მსასოებელმან  
სახისა შენისამან ჩვენ ღადიანმან ბატონმან ლე-  
ონ და ტკბილის მამის სანაცვლომან ბატონმან ბი-  
ძამ ჩემმან ბატონმა ბიორგი ლიპარიტმან გკად-  
რეთ და შემოგწირეთ შენ საშინელსა ანგელოზისა  
უზილავსა ბიჭვინტის ლეთის მშობელსა ჩვენდა სად-  
ლენგრძელებლად და განსამარჯვებლად, სახსრად და  
საოხად სულისა ჩვენისად შემოგწირეთ ქალაკვა  
ჯალნისეული მამულითა შვილის ხუტუსეული მამუ-  
ლი, ორი მონასტერი—ერთი ჯვარის პატრონისა და  
მეორე წმიდის ბიორგისა, მისის სასახლითა, მამუ-  
ლითა, საფლავითა, სათევზითა, საყანითა, სანადი-  
როთა, სახობხითა, სათიფითა, ბელლითა და მარნი-  
თა, ჭურითა შესავლილითა და გამოსავალითა, რო-  
გორაცა ხუტუ ჯაიანსა ეხმაროს, ისრე თქვენ იხმა-  
რეთ. აწე არის ამის შემავალი გლეხი ხუტუ ჯაიანი,  
რომ იხმარებოდა, ერთი კუთხლი კაცი ბრიგოლ გო-  
გოლდაჲ, მეორე მოსახლე ლომანია ბოგოლდა,  
მესამე მოსახლე მიხლია ჩანგელია, მეოთხე მოსახლე  
ძეაქვალთა შანტაჲ, მეხუთე მოსახლე მიკ ალანდი  
შიელია, მეექვსე მოსახლე მაგიჭოვი პეიკაჲ, მეშ-  
ვიდე მოსახლე მობიშვა შიელია, მერვე მოსახლე  
დაჯიხული ჯანია, მეცხრე მოსახლე შშას ბიბილია  
ხუტუს ჯაიანის სეული. აწე ამისი არიან თავათ  
ღმერთი და ბიჭვინტისა ლეთის მშობელი კაცთაგან  
ლიპარიტიანი, ბატონი ბიორგი და გაზირთ-უხუცესა  
და მოჯარეთ უხუცესი მირაბ შორთაძე და ძაცია  
შორთაძე და მესტუმრეთ უხუცესა ძაკაუჩა ძეითა.  
სახლის უხუცესა ძაიხოსრო აფაქიძე, ბაქაულთ უხუ-  
ცესი ჯავახ შალაძე. აწე ამისი შემწირველი ესენი  
არიან.

აწე შეწირული ჩვენგან მამული და საყდარი  
ვინცა გამოსწიროს რისხავს მამაჲ ძე და სული წმიდაჲ.

<sup>1)</sup> ასე იწერება კამბეხი.

ხოვლად წმ. ლეთის მშობელი, ყოველნი წმიდანი  
ღეთისანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, უხორცილნი და  
ხორციელნი ნურათამცა ეშველებს მის სულსა ნურ-  
ცა წირითა, ნურცა ლოცვითა და ნურცა გლახკათა  
მიცემითა ნურცა იჩლემს წასვლითა და შეწირული-  
თა. ღამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან.  
ამინ. ამინ. მეღვინეთ უხუცესი ბამიგონი ბუტუჩა  
და მზარეული ხუტალვი გვირგვინა.

ჩვენ ძირსტეს ლეთის მიერ კურთხეულმან აუ-  
ხაზეთის კათალიკოზმან მფთვიმი საყვარელის ძემან  
ქალა მონასტერი და რაც მამული შესწირა დაღანსან  
ლეონ და ლიპარიტმან გიორგი ბიჭვინტისა ლეთის  
მშობელსა ჩვენ მისდა ქრთამად გამოვიღეთ, მივეცი-  
თ მანუჩარ დაღანსა თორმეტს ტყუედ დაფასებული, კა-  
რავი, ერთი ბედაური ცხენი და ერთი ბედაური ჯო-  
რი. მანუჩარ ღადიანი მიიცვალა, მას უკან მის შვილს  
ლეონ ღადიან მივეც ერთი გაუკუთეული სარასანი  
და ერთი ყირმიზი იაზადური ხავედი. ლიპარიტანს  
ბიორგის მივეც ერთი ოქროს მოჭედილი უნაგირი  
მურასა ვეცხლის ლავამითა, ვერცხლის საღვეითა,  
ვერცხლის სამკედლითა, ვერცხლის მათრახითა ოქ-  
რო-ქსოვილისა. მითი სიასმურის ხავემის ტყავი თეთრს  
ხავემს ეაკრავს. მივეც მირაბ შორთაძესა ერთი ბედა-  
ური ცხენი მისის უნაგირითა და ასლითა და ბირა-  
ქითა შეკაზმული. გაკლას უხუცესსა ძაიხოსრო აფა-  
ქიძეს მივეცი ერთი დიდი თავანგამი ერთს კაცის  
ასაღებო.

ძაკაუჩას ძეითას მივეც ერთი კარგი მესხური  
საუნაგირე მისის იარალითა, ერთი ზემოური ქაფხაჲ  
და ერთი ჩალილაოს ქვემო სხვა საბანი და სურმები  
მოხელეებსა. აწე რამდენიც კაცმან ან ღადიანმან, ან  
სხვამან კაცმან, ან თავადმან, ან აზნაურის შვილმან  
ბიჭვინტისა ლეთის-მშობელსა გამოსწიროს ქალა  
მონასტერი და რაც მამინა მამული შესწირეს—რის-  
ხავმცა ღმერთი მამაჲ ძე და სული წმიდაჲ, ყოველად  
წმიდაჲ ლეთის მშობელი, ყოველნი წმიდანი ლეთ-  
ისანი ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორ-  
ცილნი. ღამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთ-  
მან. ამინ. ამინ.

ღადიან (1)

მკრალი მელნით, უფრო წვრილი ხელით დაწერილია შემდეგი:

აგრევე გადრეთ და შემოგწირეთ თქვენ საშინელსა ბიჭვინტისა ლეთის მშობელსა ჩვენ სუამწიფედადისმან პატრონმან ლევან მიქელათს საყდარი მთავარ ანგელოზისა საწინამძღვროდ რუფაჲ კუამლის კაცითა, ტყითა, ევლითა, საყანითა, სანადიროთა, გასავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, დღეს რისაც მქონებელი იყონ სამართლიანის საქმითა ამას გარეთ საკანდელაკოს კლიტათა. შემოგწირვს სახსრად და საოხად სულისა ჩვენისა, ასრე რომე სახელი იყო ბატონი კათოლიკოზე მაქსიმე (?) 1)...

აწე ვინცა შლად ჰყოს წყეულ, კრულ და შეჩვენებულ არს მისი სული და ხორცი აქა და მას...

აქედან იწყება ისევე შავი მელნით, ვარკვეული ხელით, რომელიც წინად გვხვდებოდა:

ნებითა, შეწვენითა, წყალობითა ლეთისათა ჩვენ გურჯელ კათოლიკოზისმან ძალაქა შევსწირეთ ბიჭვინტისა ლეთის მშობელსა მცირე ესე შესაწირავი თავის ერთის წმიდის ანდრია მოციქულის ხატი მომიჭედინებია და თორმეტ საუფლოს კუბოში ჩამისვენებია და ბიჭვინტას დაამსვენებია და სამი კუამლი კაცი იქ მისთვის შემწირავს. ამას გარეთ ერთი მძიმედ მონარგალიტებული ოქროს ომფორი ათასისა ფლურისა სრულიად პატრონის თელითა და მარგალიტითა შემკობილი და მისის ოქროს ბუშტებითა.

მართი ამისი შეფერებული მძიმე ოქროს სირმის ყარყაფთა შეკერული ბისონი ცხრის მურანის ლითითა და ამ ლილებშიან ნიშაურის ფეროზისა და ყირმიზის იავუნდის მეტი არა ზის-რა. ეს ლილები თვითონ ასან მარგალიტად ნასყიდი არის. მართი წყვილი სამკლავები ოქროსი ოთხასის ფლურისა მძიმედ მოთვალ-მარგალიტებული. მართი პატრონანი ოლბარი ხოშორის მარგალიტითა მძიმედ მონარგალიტებული. მართი მძიმე ოქროს მურისა ქამარი პატრონანის ყირმიზისა იავუნდებითა, ლალებითა, ნაყაურის ფირუზითა და მარგალიტებითი შემკობილი, შვიდი ქულუჩა და ორი წინა შესაკრავი აქეს. მართი მძიმე

1) ეს ადგილი მეტად მკრალად არის დაწერილი. ალაგ-ალაგ ალაჩა სხანს-რა.

ჩარყაფის მონარგალიტებული ენქერი. მართი მძიმე ქარყაფით შეკერილი სტიხარი ორის ოქროს ლილითა. მართი სირმით შეკერული საბეჭური. მართი ოქროთა თვლითა დამარგალიტებული შემკობილი პატრონის ძელითა დანაწილებული და ოქროს ჯაჭვითა შესაკიდი ხატი.

მართი სამწირველო ოქროს სარმუზა მურასა პატრონის თელითა და მარგალიტებითა შემკობილი. მართი მძიმე ჩარყაფისა მონარგალიტებული პორფირი. მართი მაზარა შავის ატლასის მონარგალიტებული სირმისა შდინარებითა და ოქროს მურის ლილებითა. მართი მძიმე ოქროს მურასა კავარჯენი ოქროს კახელის ბატონის მფთვიმე კათოლიკოზისაგან იყო და ზოგ ზოგი თვალი და მარგალიტიცა მისგანვე იყო და მერმე ჩვენ ახლად კიდევ პატრონის თვლითა და მარგალიტითა შემამკია და გამიკეთებია 1). მართი სირმისა მონარგალიტებული გვირგვინის ქული. მართი ოქროს ფეშხუმი ორას სამოცის ფლურისა. მართი მძიმედ გაცეთებული მოთვალული კოვზი. სამი მძიმედ ხალასათ ყირმიზის ფრანგულის ქამაზზე შეკერული პერექლები. მართი მძიმედ მოჭედილი და ოქროთ დაფერილი კონდაკი. სამივე კონდაკი შიგან წერია მისის ხალასათ შეკერულის რუფაქითა, მეორე სხვა კონდაკი ოქროს ვარაყითა წერილი.

მართი პატრონანი ძილის პირი ქრელის ნუსხითა. მართი ჭამნი, დავითნი. მართი კურთხევანი. მართი გულანი ძახელის მუთქვიმე კათოლიკოზისაგან იყო დაწერილი და ხატის შეწირული არ იყო და ბატონის დადიანს წავლო და მე ვსთხოვე და მიბოძა და აწ მე შემწირავს. მართი ეტრატს ოთხთავი დახატული აქეს, მერაბ შორთაძისაგან ხალიჩა. მართი ვეცხლის ჯვარი.... მართი მურასა ტაშტი. მართი მონარგალიტებული სამხეური. მართი მონარგალიტებული ჩარყაფი 2)..... ოქროქსოვილი ხალიჩა მონარგალიტებული...

მართი დიდი ოქროს ბარძიმი (?). მართი დიდი დაქანაბადა. ერთი ალაქუხი. ერთი ყირმიზის სუფრა ერთი ტაშტი წურწუმა ვეცხლისა და ტაშტი

1) უკანანო შეთანხმება სიტყვებისა: „ჩვენ შეგვიპაჲ“ და „მა შეგვიპაჲ“.

2) აქ მელანა გადასულია. ორი სტრუქონის დასაწყისა და რ სხ.ნს.

ჩარხისა. ერთი საყათასი. ერთი დიდი ღოსტაქანი. ორი ჩარა დასები. ერთი ცხრა... ნაღბაქები.

აწ ადგილებისა და მამულებისაგან ბაუჯელს სასახლე აოხრებული იყო და მომცრო ადგილი იყო და გარეშემო სხვისი ადგილი იყო და ჩვენის თეთრითა მიყიდა და გამომატება და სასახლე ამიშენებია და ქეთიკირისა და ქეთიკირისა ჯიხური ამიშენებია და დარბაზი დამიდგამს და ორი მოსახლე კაცი ჩვენის თეთრითა მიყიდა და დამისახლებია და ჯოგი დამიყენებია. ამას გარეთ ოლილის სასახლე გამიკეთებია საყდრისათვის სამრეკო ამიშენებია და ქეთიკირის მარანი ამიშენებია, ზედა კარგი სახლი დამიდგამს და ტახტი ამიშენებია, ერთი კუამლი კაცი ჭრაქია გვარადა მანდ მიმიყენანია, მეზოსტნეთ დამისახლებია და ჯოგი დამიყენებია. მეორე კუამლი კაცი სურეზული გვარადა მანდ დამიყენებია და დამისახლებია.


ამას გარეთ ოლიშს სადაც მე მოვიწოდებ დიდიგას, ანაკრისას, შოთს, შალადიდს ყოველგზის ბალოლისკარს, ეკალს საქუჩლოაროს, ჩვენი ამოჩეული მეთევზენი და სხვა კაცები ოცდაათი მოსახლეები ღადიანმან ბატონმან ლეონ მისდა სადღეგრძელოდ, მისის სულისათვის შესწირა და ყოველ წელიწადსა სულისათვის ტრაპეზი გაიჩინა. ამას გარეთ ღადიდიგას სასახლე არეულ და ბატონის ღადიანის ძველი გაოხრებული სასახლე იყო და ჩვენცა შევგებევწეთ და ესთხოვეთ და თვითონ ხატსა შესწირა და ჩვენცა დაგვაბაღლა, მივეყვით ხელი, დარწყეთ შენება საყდარი გავეკეთებია. დარბაზი და ჯიხური ჩვენის თეთრით მიყიდა და დამიდგამს და გარდამიჭედინებია. აგრეთვე ბელლები, მარანი და რაც სახლები არის ან საყანე, ან საკრეფი მამული და ქურები—ყველა ჩვენის თეთრით მიყიდა. ერთი მოსახლე ბატონმან დედოფალმან მიბოძა და სამი მოსახლე ჩვენი... მიმიყენანია და დამისახლებია.

ლორის ჯოგი დამიყენებია და სამუშაო საქმე ყველა გამიჩენია და გამირიგებია. ჭეპები დამიდგამს და მეთევზენი დამიყენებია. ამას გარეთ ილოარის ჩხოზოძისაგან ერთი პარტახი მიყიდა და ადგილი წინამძღვრისაგანცა მიყიდა და ერთი კუამლი კაცი მიმიყენანია იქ მეთევზეთ და დამისახლებია. ამას გარეთ სუშეიბს სასახლე გამიკეთებია, საყდარი დამიდგამს დიდი დარბაზი და ჯიხური დამიდგამს და გარდამიჭედინებია, საყანები მიყიდა და ორი კუამლი

კაცი ჩვენის თეთრით მიყიდა და დამისახლებია. ხარის და ზროხისა და ცხენისა ჯოგი დამიყენებია.

ამის გარეთ 1) ხორის სოფელი იყო და სასახლე არ იყო, მერმე ჩვენის თეთრითა სასახლე ადგილი ვიყიდე მეგრელებისაგან და დარბაზი ვიყიდე და დედადგმეინე, ჯიხური დედადგმეინე და გარდავაჭედინე და რაიც სახლები დგას ყველა ჩვენის თეთრითა მიყიდა და სხვა საყანეები საკრეფი მამულები და ქურები მიყიდა და შემამატებია. მოსახლეები დამისახლებია და ზროხები დამიყენებია. ამას გარეთ ხიბულას საყდრის იარაღისათვის ციხე სალოროთ გამიკეთებია, შიგან ორი კუამლი კაცი დამისახლებია, საყდარი, სახლი და ჩარდახი დამიდგამს და ერთ სასახლეთ ის გამიკეთებია. ამას გარეთ ბიჭვინტას გამოღმა სასახლისათვის გამიმატებია დიდა დარბაზი და დიდი ჯიხური დამიდგამს და გარდამიჭედინებია, ტახტი ამიშენებია და გარდამიჭედინებია, სახლ-კარი გამიკეთებია, მოსახლენი დამისახლებია. ძამბეშისა, ზროხისა 2), თხისა და ღორის ჯოგი დამიყენებია, სალობი გამიკეთებია, ხარდანი გამიკეთებია და ერთი მოსახლე კაცი ზედ დამისახლესია, ხარდანი 3) გამიკეთებია და მეხარდნე იმერეთიღადმან მომიყენანია და დამისახლებია.

ამას გარეთ საქუჩლოაროს ბატონმან ღადიანმან ერთი სასახლე ოთხის კუამლის კაცითა მიბოძა მისის საყანითა და საკრეფის მამულითა და მისის ყოველისფრითა და მე შემიწირავს. ამას გარეთ ნავთურის სასახლისათვის ბატონს ლიპარიტინასა შევგებევწეთ და ცარიელი სახლკარი, სასახლე-ადგილი მომაქრთამა ორის მოსახლითა და ერთი მოსახლე მე მიუმატე. მივჰყავ ხელი და საყდარი ავაშენე და გარდავაჭედინე. დიდი ჯიხური ავაშენე და გარდავაჭედინე, სხვა სახლები, ბელელი და მარანი და კიშქარი ავაშენებინე და სასახლე გავეკეთებინე.



1) გარეთ—გარდა.  
2) კამბეში — კამბენი (შ = წ); ზროხსა—ძროხსა (ღ = ძ).  
3) ხარდანი—ხარანის გენახა (ხაზა სულხან ორბელიანის ახსნა).

# საეჭვო კითხვების განმარტება.

მერა-სამეგრელოს ეპარქიის ერთი ეკლესიის მღვდლის მამა სამსონ ჩა—იასაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი კითხვები განსამარტებლად:

1) როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი, ან რა უფას დაწერილს ობისკს, როცა სასიძო და საძმოს სწულს თანახმობას განაცხადებენ ერთმანეთთან შეუღლავს და ობისკის წინაშე შესდგება კანონიერად და სჯულს მიაწერენ როგორც ისინი, ისე თავიდან და წვეწნი ეკლესიის კრებულისა, თუ ამის შემდეგ სასიძომ ანუ საძმომ უარი განაცხადა ჯვარის წკრავს?

2). რამდენი დრო უნდა გაუშვან გაწდაცვალებიდან, რომ პანაშვიდი გაწდაცვალოს ან შედგაოთნემ რადის უნდა დაიწეროს დავითნის კითხვა?

3). თუ ეკლესია დაშორებულია, ან ცუდი ტარისა, მაშინ ვალდებულია თუ არა მღვდელი გაუძღვს წინ მიცვალებულს შემოსილი?

4). შემდეგ მიცვალებულის გემის დასაფლავების საჭიროა თუ არა მიცვალებულის სახლში დაბრუნება და სახლის განათლება, ან აიაზმის წყლის მოსხუტება?

5). მიცვალებულს როცა შეკასკენებთ წმ. კვლეისაში, ეჭვე უნდა აეგოთ მცირე პანაშვიდი, თუ სასაფლავს?

6). მცირე ტაბლის საკურთხად საზოგადოდ და შემდეგ აღაზის მღვდელი ვალდებულია თუ არა საფელში მოხკენილის რჯისში წავიდეს?

და 7) ეჭვი და შიდი დღის გაწდაცვალებულის გაჩკება შეიძლება ეკლესიაში?

## რედაქციის პასუხი.

1). თუ ობისკის შედგენის შემდეგ სასიძომ ან საძმომ გვირგინის კურთხევა არ ისურვა და ქორწინება დაიშალა, მაშინ მღვდელმა შედგენილი ობისკის ბოლოს შენიშენა უნდა დასწეროს, თუ რა მიზეზისაგანაა მოიშალა ქორწინება და ობისკის ფურცელი გაუქმებული-შეიქმნება. მერე კი გვირგინის კურთხევის შემდეგ სდგება მაშინვე და არასოდეს არ გაუქმდება.

2). ნამდვილ გარდაცვალებიდანვე დაიწყება პანაშვილის გარდახდა და დავითნის კითხვა მიცვალებულის სულის მოსახსენებლად.

3). თუ გარდაცვალებულს ერთი ადგილიდამ დაშორებულ ადგილზე მიახვენებენ, რასაკვირველია, მღვდელს არ შეუძლია გაუძღვს წინ. რკინის გზით გარდაცვალებული საკუთარი ვაგონით მიაქვს და აქ როგორ გაუძღვება მღვდელი? ამ შემთხვევაში მღვდელი ცოტა ადგილზე გაქვება და შემდეგ დახედება იქ, სადაც საფლავებზე მიცვალებულს, ან სადაც შეასვენებენ ეკლესიაში. სამრევლოს ფარგალში კი რიგია გაუძღვს და ისეთი ცუდი ამიდი თუ არის, რომ კაცი ვერ გაბედავს გარეთ გამოსვლას, მაშინ ვერც გარდაცვალებულს გაასვენებენ.

4). მიცვალებულის გასვენების შემდეგ სახლის მოკურთხებას საეკლესიო ტიპიკონი არ უჩენს და რასაც ტიპიკონი არ უჩენს, იმისი ასრულება არც საჭიროა და არც რიგია. შოველ მღვდელს შეუძლია უარი უთხრას ქირისუფალთ აიაზმის გარდახდაზედ ხსენებულს დროს, და უიმისოდ, როცა ნებავეს, სრული უფლება აქვსთ გარდაიხადონ ყოველგვარი ღოცვა და ვედრება ლეთისა.

5). თუ ეკლესიაში ავგო გარდაცვალებულს წესი და პანაშვიდი, რასაკვირველია, მცირე პანაშვიდი სასაფლაოზედ უნდა გარდაეხადოს. მცირე პანაშვიდი ყოველს ადგილას და ყოველთვის შეიძლება გარდაუხადონ, თუ ამისი მსურველი არიან. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ნამეტანი ყურადღება აქვსთ მიქცეული ამოტირილზე და სხვა თვალთ-მაქცობით მოქმედებაზედ და ხალხის გამასპინძლებზედ. როდესაც წესის აგებაზედ და პანაშვილის გარდახდაზედ მიდგება საქმე, მაშინ მღვდლებს ეტყვიან: «აბა, მამანო, შედით შინ და თქვენი წესი დასრულეთ, ჩვენ ღვინოს გიხბლებით და მერე გავასვენოთ». ეს არის გარდაცვალებულის პატივისცემა? ჩვენდა სასიოცხოდ და სამწუხაროდ ამისთანა საძაგელი და ოჯახის დამღუპელი ჩვეულებანი სრულდებიან ამ ჩვენს დროშიაც... თავის მუცელზედ უმეტესად ფიქრობენ. შხარლო და უსარგებლო ხარჯი ღუპავს ოჯახს და გარდაცვალებულის სასარგებლოდ არ იხარჯება არც მერთხედი, ასე ღრმად აქვს კიდევ გაღებული ფესვი კერპთ-თაყნის-ცემლორ ჩვეულებათა ჩვენს საქართველოში.

6). მცირე ტაბლა და ხორცეულობა საკუთხად თვითონ მღვდლის ოჯახში უნდა მიიტანონ და არა მღვდელმა უნდა იაროს სოფელში მათ საკუთხად, როგორც ამას ტაბიკონიც უჩენს.

7). სამოქალაქო და საეკლესიო კანონებისამებრ გარდაცვალებული სამი დღის შემდეგ არ შეიძლება დარჩეს დაუმარხავი და ყოველს მღვდელს უფლება აქვს ორ-ორი და სამ-სამი დღებით ეკლესიაში არ შეასვენებინოს მიცვალებული. ეკლესიაში გარდაცვალებულის გაჩერება შეიძლება იმ დრომდის, სანამ დინაც წესის შესრულება გაგრძელდება, შემდეგ უთუოდ უნდა იქმნეს გატანილი გარეთ. პრაქტის არა აქვს უფლება, მღვდლისაგან მოითხოვოს ეკლესიაში გარდაცვალებულის დასვენება იმა მიზეზით, რომ დღეს კვიმატიანი დღეა, ან ორშაბათი და ვერ დაემარხაეთო, როგორც ეს შემთხვევია მამა ჩა—იას და რომელსაც ეტყობილობთ მისი კერძო წერილიდან.

ამავე დროს იმერეთის ეპარქიის ერთი პატივცემული მღვდლისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! ამას წინეთ ერთმა მღვდელმა აღძრა კითხვა, თუ რამდენ წირვად ჩაითვლება ოთხი-ხუთი მღვდლისაგან შესრულებული წირვა». რედაქტორამ ეს კითხვა რიგიანად განმარტა და გამოაცხადა: ერთ გარდაცვალებულზე რამდენმა მღვდელმაც უნდა შესრულოს წირვა ერთსა და იმავე დროს, ერთ წირვად ჩაითვლება და არა მწირველ მღვდლების რიცხვისამებრ. ამ კითხვის განმარტებამ ჩვენში გამოიწვია მეორე კითხვა, რომლის განმარტებასაც გთხოვთ».

«სამი მღვდელი რომ მსახურობდნენ ერთ ეკლესიაზედ, შეუძლიათ თუ არა სამთავემ თავიანთ სამ-

რველოს ცოცხლებს ან გარდაცვალებულებს ერთად შეუსრულონ წირვა და როგორ უნდა მოიხსენონ გარდაცვალებულნი «შეგვიწყალენ»-ზედ?».

მაცნობებთ ამ პატივცემულ მღვდელს, რომ ერთად მწირველთ სამივეს და რამდენიც უნდა იყვნენ მღვდლები, მათ შეუძლიათ უწირონ თავიანთ სამრევლოს გარდაცვალებულთა და ცოცხალთა. გარდაცვალებულნი ერთად უნდა იყვნენ მოხსენებულნი შეგვიწყალენზედ როგორც მთავრისაგან, ისე უპირატესისაგან და აგრეთვე სათითველოდ ყველა მწირველ მღვდელთაგან. წირვა შეიძლება შესრულდეს ერთზედ და მრავალზედაც. საორმოცო წირვა შეიძლება მღვდელმა აღსრულოს არა მარტო ერთ გარდაცვალებულზედ, არამედ ათზედ და მეტზედ ერთსა და იმავე დროს ორმოცი დღის განმავლობაში. ამცხათვის იწერებიან მონასტრებიდამ მცირე ფასს საორმოცოსისას, რადგან ერთ წირვაზე იხსენებენ არა ერთსა და ორსა, არამედ ასს, ორას და ოთხასსაც.

რუსეთის ერთ მონასტერში წირვის დროს ერთმა პატივცემულმა დეკანოზმა თხუთმეტჯერ განიმეორა მცირე შეგვიწყალენი თავის ასამალღებელითურთ და თხუთმეტი სხვა-და-სხვა გარდაცვალებულნი მოიხსენა ცალ-ცალკე. ჩვენში შეიძლება ამითანა საქციელისათვის მღვდელს საჩივრებიც შეუტანონ და მათი გარდაყენება ითხოვონ!..



# განცხადებანი.

შმაღლესად დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება“ თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებულ ი 1835 წელს.

## საზოგადოება ყუხღავს

- 1., თანხას შეიღებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ეინიცობა და მზღვევი გარდაიცვალა.
- 2., თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ და მზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუცდება.
- 3., თანხას, რომელიც მიეცემა და მზღვეველს აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თვითონ დასჭირდება შეიღების დასაბინაველად, ანუ ქალებისათვის სამშითვოდ.
- 4., პენსიას სიკვდილამდის, სამკვიდროს და სხვა... შმათერესი აგენტი და ინსპექტორი კავკასიაში ნ. ზრუზენბერგი. შოსტის და დებეშის ადრესი: Гр. Венбергу Тифлисъ.

(10—9)

მიიღება ხელის-მოწერა 1891 წლისათვის მრ კვირავულ გამოსვამათა ქართულს

### „მ წ ყ ე მ ს ი“

ღ

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საზოგადოებრივო მართებლობათა, კონსისტორიათა და

მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა, არის— 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

### ფ ა ს ი გ ა ზ ე თ ი ს ა :

12 თვით «მ წ ყ ე მ ს ი» 5 მ.	6 თვით «მ წ ყ ე მ ს ი» 3 მ.
— „ორივე გამოცემა 3 მ.“	— „ორივე გამოცემა 4 მ.“
— „რუსული „ 3 მ.“	— „რუსული „ 2 მ.“

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ვედიანში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვედიანში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

ბარემ მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Къирилы, въ редакцію газетъ „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

# ი ს უ ი ლ ე ბ ი ა ნ

დეკანოზი დავით დამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, ცენტრალურ და ბ. ხიდიკელის წიგნების მალაზიებში, ქუთაისში — «მწვემის»-ს რედაქციის სტამბაში და მმ. ჭილაძეების და წერეთლის წიგნების მალაზიებში და ყვარაღაში—თვით გამომცემელთან.

- 1) დარჩება საღმრთო სჯულის სწავლა-ბაზამ, რომელიც უწმიდესი სინოდი-საგან მოწონებულია როგორც სასწავლო სადმრთო სჯულისა საეკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში—ფასი . . . . . 30 კ.
- 2) იგივე დაწავება სადმრთო სჯულის სწავლა-სად რუსულს და ქართულს ენაზე 50 კ.
- 3) საძარტველოს სამაქლასიო ისტორია ფასი უდით . . . . . 45 კ.
- 4) ძარტული ლოცვანი, თვეთა მეტყვე-ლებით, ქორონიკონით და მართლ-მადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღე-სასწავლებლის მოთხრობით.—ფასი . 30—
- 5) ახალი ქარაბადინი, რომელიც განხი-ლული და ნება-დართულია კავკასიის საეპიშოპ რჩევისაგან.—ფასი . . . . . 1 მან.
- 6) მღვდელთათვის საადრეულეობის შესრუ-ლების დროს საჭირო სასელმძღვანელო წიგნი—ფასი უდით . . . . . 30 კ.
- 7) ახალი სასულიკო კონსისტორიათა წმინდათა.—ფასი უდით . . . . . 40 კ.
- 8) მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ძარტველთ განმანათლებელი,—ფასი . 25—
- 9) გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მფხის დავით აღმაშენ-ებლისა.—ფასი . . . . . 25—
- 10) წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5—
- 11) წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ბასილი დიდი, გრიგორი ღმთის-მეტყველი და იოანე მოქრპირი, სურათებით —ფასი 5—

- 12) მიჩქა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
- 13) დიდ-მარხვის წინ, სურათით.—ფასი . 2—
- 14) ხარება უოვლად წმიდა ღმთის-მშობლისა სურათით.—ფასი . . . . . 2—
- 15) ბზობა სურათით—ფასი . . . . . 2—
- 16) აღდგომა სურათით—ფასი . . . . . 2—
- 17) კონსტოელი კილატას მამულის წმინდი თავის მშობარ ძალთან . . . . . 5—
- 18) მფხ სოლომონ ბრძენი სურათით—ფ. 5—
- 19) ცხოვრების აღწერა წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა . . . . . 2—
- 20) წმიდა ნანა ქართველთ-განმანათლებელი . 2—
- 21) შიო-მღვამის მონასტერი და ცხოვრების აღწერა დისისას მამას ჩვენისა შიოსი სურათით—ფასი . . . . . —5
- 22) მიძინება უოვლად წმიდა ღმთის-მშობლისა, სურათით—ფასი . . . . . 2—კ.
- 23) აბაღლვა პატრონისა და ცხოვლ-მფხელისა ჯარისა უფლისა სურათით 2—
- 24) ღმთის-მშობლის დაბადება—სურათით 2—
- 25) ტაძრად მიყვანება ღმთის-მშობლისა 2—
- 26) მსთერი სურათით.—ფასი . . . . . 5—
- 27) წმ. მოწამე რაქმენი—სურათით ფასი 5—
- 28) ისო ძისა ზირაძისა სურათით . . . . . 5—
- 29) დაწყებითი გაკვეთილები საღმრთო სჯულის სწავლაზე ფასი . . . . . 15—

კონც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოაწერს არა ნაკლებ ერთი თუმისა, მას მანეთზე დაეთმობა 15 კ. კონც 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასო ტალისა, ის ფასტით გასაკზანს არ იხდის.

„მწვემის“ რედაქცია უკვე შეუდგა მო-სახსენებელი კონდაკის ბეჭდვას. ამისთანა კონდაკები ძველს დროშიდ თითქმის ყველა ეკლესიებში და მონასტრებში ქქონებათ. მაგრამ დღეს არცერთ ეკლესიაში არ მოიპოება.